


# საქართველოს



იმისთანა წმინდა სადგურში,  
ბეგობიც ბეჭდურნი სიფყვას,  
ფედილებით და ჭებებით ბურთის  
გაფანა ყველა ჟეკეტისადაც  
უსამაგლესიჯ

არქივალური მასალები  
საქართველოს  
რედაქციისგან

დაარსებულია  
1918 წელს.

სამშაბათი, 22 მარტი, 2011 წელი.

№52 (6664)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ვინ ვინ და რატომ უბოროებს კოჭს?!




აჭარის ორგანიზაციის  
წევრები ხვალდან  
მასობრივად დატოვებენ  
რესპუბლიკურ  
პარტიას?

②

### „ქართული აკადემია“

გერმ და უიღ  
ფაქტობრების  
ერთობლიობა  
ოპოზიციისათვის  
ხელსაშრელ ②  
გერემოს ქენის  
ხელისუფლების  
შესახებულად



„ღღუ ქართული  
მეცნიერების  
აკოკალიფსი  
დაღბა!“ ③

## ნეოლიბერალიზმი და მართლ- მადიდებლობა



④


## რუსეთი აფსაფათს ბერობობობობს ართმეფს ②

პატრიარქატი-  
კატობობობის  
შეცდობა?! ⑧



გამარტივების გზით მივყავართ,  
ოღონდ... ჩვენნივე ხარჯით ⑥

⑨ მთავრობა მოგებას  
ნელ-ნელა გვარეფს!



სოჭი ქართველთა  
გამარჯვების ძალაქია ⑩

„პართული აკადემია“

სამსახური ცხადია, რომ ხალხთან დიალოგის უნარს მოკლებული ავტორიტეტული ხელისუფლების ხელში ქვეყანას განვითარების პერსპექტივა აღარ დარჩა.

ამავე დროს, ხელისუფლებას თავისი ავტორიტეტული პოლიტიკური კურსის გამო პრაქტიკულად დაკარგული აქვს საერთაშორისო ავტორიტეტი და მხარდაჭერა;

ქვეყნის შიგნით შექმნილი უმძიმესი სოციალური ფონი, რასაც უკიდურეს ზღვრამდე მიჰყავს ხელისუფლების პოლიტიკით ხალხის უკმაყოფილება; თანაც ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც არაბულ ქვეყნებში მიმდინარეობს მასობრივი გამოსვლები არაღმკრახილი, ერთპიროვნული მმართველების წინააღმდეგ და რეჟიმების დამხობები, რაც თანდათანობით სცილდება რეგიონულ მასშტაბებს და, მიუხედავად იმისა, რომ აქ არა გვაქვს პირდაპირი ანალოგიები, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სააკაშვილის რეჟიმით უკმაყოფილო ხალხსა და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს აძლევს ბრძოლის დამატებით სტიმულს.

ასე რომ, გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობა ოპოზიციისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის ხელისუფლების შესაცვლელად. წესით და რიგით, სააკაშვილის რეჟიმი გამოუვალ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ არა ოპოზიციის არსებული ურთიერთშუღლი და ურთიერთკონკურენცია და, მეორე მხრივ, ხალხში დასადგურებული შიში, აპათია, საკუთარი უუნარობისა და უმწიფობის განცდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს დღევანდელ ოპოზიციურ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად განიხილება ხელი-სუფლების შეცვლის ორი გზა:

1. დასავლეთის ძლიერი ზეწოლის ფონზე ხელისუფლებასთან პრინციპული მოლაპარაკების მიშვეობით საარჩევნო გარემოს შეცვლა, რასაც ძირითადად იგულისხმებს დემოკრატიული და სამართლიანი საარჩევნო კოდექსის შემუშავება და დაკანონება, სასამართლოში საარჩევნო დავებისათვის სამართლებრივად გამართული გარემოს შექმნა, ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც გამოირიცხავს საარჩევნო პროცესში ძალადობრივ სტრუქტურების ჩარევას, ტელემედიის (განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის) ხელისუფლების კონტროლიდან გამოყვანა, საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებლობა... ამასთანავე, გაცხადებულია მოლაპარაკებათა დასრულების ვადაც — მიმდინარე წლის გაზაფხული (კერძოდ, მაისი).

2. ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი რევოლუციის გზით (სხვადასხვა მოდელირებული რეჟიმით უკმაყოფილო ხალხის მობილიზაცია და მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, საყოველთაო დაუმორჩილებლობა, ხელისუფლების იძულება, რომ გადადგეს და

მხოლოდ ამის შემდეგ არჩევნების დანიშვნა და სხვ.).

ვფიქრობთ, თუკი „რვიანთან“ მოლაპარაკების დროს ხელისუფლება გამოიჩინოს მისთვის საერთოდ დამახასიათებელ სიხისტეს, პოლიტიკურ არაკეთილგონიერებასა და არაკეთილსინდისიერებას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხალხს არ დაუტოვებს თავისუფალი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შანსს, ამით იგი იმავე ხალხს მიანიჭებს რევოლუციის უფლებას. ამ შემთხვევაში კი, პირველ რიგში, სიფხიზლე და კეთილგონიერება უნდა გამოიჩინოს საზოგადოებამ, რათა რევოლუციის ტალღამ ერთი ავტორიტეტული რეჟიმის ნანგრევებზე არ წარმოშვას ახალი ავტორიტეტული რეჟიმი, რომელიც მალევე გადაიქცევა ახალი კატაკლიზმებისა და რევოლუციის მიზეზად.

ამიტომ დღეს ლოგიკური იქნებოდა, ხე-

განხორციელებაზე; საზოგადოებამ მკაფიოდ არ იცის, თუ რა ნაბიჯს უნდა ელოდოს „რვიანთან“ ხელისუფლების სავარაუდო უარის ან უმნიშვნელო და არაარსებითი პიარ-დამოხმების შემთხვევაში; საზოგადოებამ არც იცის, არსებობს თუ არა „რვიანის“ რაიმე გეგმა ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკებათა პროცესის ჩიხში შეყვანის ან ჩაშლის შემთხვევაში. აქედან იზადება საზოგადოების უნდობლობა და ნაყოფიერი ნი-ადაგი ეძლევა მათი ოპოზიციონერი ოპოზიციონერების ანტისაარჩევნო პროპაგანდასა და შავ პიარს.

საზგასმით ვაცხადებთ: ოპოზიციურ სპექტრში არსებული ურთიერთდაპირისპირების გამო, შესაძლებელია, მოვლენები განვითარდეს შემდეგი (ან/ან) მიმართულებებით:

- 1. ნაციონალური მოძრაობა მოიგებს მომავალ არჩევნებს და დარჩება ხელისუფლებაში (დიდი ალბათობით — სააკაშვილის გარეშე).
2. პროცესები გავა კონტროლიდან, მიიღებს სტიქიურ ხასიათს და გადაიზრდება ყველაფერის ნგრევასა და საყოველთაო შურისძიებაში.
3. საკმაო ალბათობით, შექმნილი ქაოსით ისარგებლებენ ის ძალები, რომელთა მიზანია ეთნიკურ ნიადაგზე საქართველოს დეზინტეგრაციის ახალი ტალღის გამომწვევა და განხორციელება.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში პროცესები დამთავრდება ახალი ეროვნული ტრაგედიითა და შეუქცევადი სახელმწიფოებრივი კატასტროფით. ამიტომაც, უკლებლივ ყველა ოპოზიციურმა ძალამ უნდა გააცნობიეროს ის პასუხისმგებლობა, რომელიც ეწეის და ქვეყნის წინაშე საკუთარი ნებითვე იტვირთეს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ: 1. უნდა ამოიწუროს „რვიანის“ ძალისხმევა — კონკრეტულ ვადაში მიაღწიოს მისაღებ საარჩევნო პირობებს და ამ პროცესში პოლიტიკურმა თუ საზოგადოებრივმა ჯგუფებმა არ უნდა შეუშალონ ხელი „რვიანის“ ზემოხსენებულ ძალისხმევას. კერძოდ, თავიანთი ნაადრევი რადიკალური მოქმედებით არ მისცენ ხელისუფლებას საბაბი, ჩაშალოს მოლაპარაკებები და ამ გზით თავი დააღწიოს მისთვის მძიმე ვითარებას.

2. თავის მხრივ, „რვიანმა“ უნდა დაარწმუნოს საზოგადოება, რომ მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში მას აქვს კონკრეტული მეთოდებით ხელისუფლების შეცვლისათვის ბრძოლის ალტერნატიული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სათანადოდ გააზრებული გეგმა.

3. „პართული აკადემია“, თავის მხრივ, შემდეგომ პროცესებში ჩართვის ფორმებსა და მეთოდებზე საკუთარ ოპოზიციას სწორედ საარჩევნო მოლაპარაკებების ვადის ამოწურვის შემდეგ გაცხადებს.

„პართული აკადემია“ 15.III.2011.

გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობა ოპოზიციისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის ხელისუფლების შესაცვლელად

მიმართვა საზოგადოებისა და ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი

ლი არ შეეშალოს საარჩევნო საკითხებზე მიმდინარე პროცესს, რათა ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მკაფიოდ გამოხატოს თავისი პოლიტიკური ნება და დაგვიანახოს, ამირებს თუ არა საკუთარ მოქალაქეებს თავისუფალი არჩევნის უფლება დაუბრუნოს. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ქართველ ხალხს მთელი დემოკრატიული სამყაროსათვის გასაგები მიზეზით მიეცემა ასეთი ხელისუფლების ვადამდელი შეცვლის უფლება. ასეთ შემთხვევაში, განუზომლად იზრდება საერთაშორისო საზოგადოებისგან პოლიტიკური მხარდაჭერის შანსი, რაც შეიძლება გადაამწყვეტოს კი აღმოჩნდეს რეჟიმთან ბრძოლაში და დადგეს მომენტი, როცა არჩევნების მომხრეთა და რევოლუციური განვითარების მიმდევართა გზები და ინტერესები გადაიკვეთება. ამგვარ პირობებში უკიდურესად დესტრუქციული როლის შესრულება შეუძლია ოპოზიციური რიგებიდან ძალაუფლებისაკენ ერთპიროვნულ, მანიაკურ სწრაფვას — მანიაკების ერთი ჯგუფი უკვე გვყავს ხელისუფლებაში.

ობიექტურობა მოითხოვს „რვიანის“ საყურადღებოდ ითქვას:

საზოგადოებამ არ იცის, რა არის საკითხთა თუნდაც მინიმალური ჩამონათვალი, რაზედაც ხელისუფლების მხრიდან უარის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ რეჟიმი უარს ამბობს კონსტიტუციური გზით ცვლილებების

ღიღი სკანდალი

ვინ ვის და რატომ უბოროტებს კოჭს?!

აჭარის ორგანიზაციის წევრები ხვალღან მასობრივად დაბოვებან რესპუბლიკურ პარტიას?

პბრბბდ მახსოვს, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ძალას იკრფებდა, ბათუმში ჩამოსული თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებლის რამდენიმე ვაგონზე თერთი ცარობით ეწერა „თბილისი-თურქეთი“. ამან, რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობა ალაშქროთა. თბილისში გაკეთებული ამ წარწერის ქვეტექსტი დაახლოებით ასეთი იყო. „აჭარა აქტიურად არ მონაწილეობს საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში, ესე იგი, თქვენ თურქეთისკენ იხედებითო“. აჭარის მიმართ ცალკეული პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური პირების ამგვარი დამოკიდებულება არც შემდგომ შეცვლილა. პირქით, ასლან აბაშიძის დროს სულ იმაზე იყო საუბარი, საით იხედება აჭარა. ქვეტექსტი აქაც ისეთივე იყო — თურქეთისკენ, ბატონო. აქვე მინდა ვთქვა, რომ ამგვარ დამოკიდებულებას არც ადრე და არც შემდეგ არავითარი საფუძველი არ ჰქონია. ამას ვამბობ მე, კაცი, რომელიც 1970 წლიდან დღემდე რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად

ჩართული ვარ და ზოგი ამ ქვეყნის ამშენებელი თუ ამომგდები თბილისელი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ზედმინწევით ვფლობ სიტუაციას აჭარაში.

ამას ახლა იმიტომ ვწერ, რომ მაშინ, 90-იანი წლების დასაწყისში, აჭარაში ეროვნული მოძრაობის ნაღვერდალის გამღვივებელი რესპუბლიკური პარტია იყო. ამ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ლოკო-მოტივი კი უკომპრომისო მურმან დუმბაძე გახლდათ, რომელიც თავისი შეუვალი ხასიათისა და პოზიციის გამო არაერთხელ გახვეულა სკანდალში. ამ პოლიტიკოსს ამა წლის 18 მარტამდე პარტიაში საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავა. იგი იყო რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, აჭარის რეგიონული ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე. 18 მარტს კი გაიმართა ეროვნული კომიტეტის სხდომა, რომელზეც მურმან დუმბაძე პარტიიდან გარიცხეს. 19 მარტს პირველი „საქართველოს რესპუბლიკა“ იყო, ვინც ან უკვე ყოფილ რესპუბლიკელს ესაუბრა. უცვლელად გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

მოიქცა, როცა ამ გადაწყვეტილებას ლეზულობდა. თუმცა უნდა გითხრათ, რომ კარგა ხანია ჩემსა და პარტიის ხელმძღვანელობას შორის იდეოლოგიური შეუთანხმებლობა იყო. ამის ერთ-ერთი საფუძველი ისაა, რომ ამ ბოლო დროს აქტიურად განიხილება საქართველოსა და თურქეთს შორის ხელშეკრულების გაფორმების საკითხი, რომელიც ითვალისწინებს თურქეთში ქრისტიანული, საქართველოში კი ისლამური საკულტო ნაგებო-

ბელები მოვლა-პატრონობას, აღდგენასა და მშენებლობას. სახელმწიფო წრეებიდან აცხადებენ, რომ ტაო-კლარჯეთში აღდგება ოთხი ეკლესია, ჩვენს ქვეყანაში კი, შესაბამისად, გარემონტდება სამი და აშენდება ერთი ახალი მეჩეთი. ერთი მათგანი — აზიზას მეჩეთი — თავის დროზე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, თურქეთის სახელმწიფომ ბათუმში ააგო, რომელსაც დიდხანს არ უარსებია.


ინფორმაცია რუსეთის აფხაზეთში სეპარატისტულ აფხაზეთში პრესასა და საზოგადოებაში ბოლო რამდენიმე დღეა აქტიურად განიხილება ე.წ. ხელი-სუფლების კულუარებიდან გამოქონილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსულმა მხარემ საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის სხდომაზე შეთანხმების პროექტი წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიის 160 კვადრატული კილომეტრის დათმობას მოითხოვს. — პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის ხელმძღვანელმა ვალერი კვარჩიაშვილმა უარი განაცხადა ამ ინფორმაციის კომენტარებაზე. ელემენტარული ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში კომენტარზე უარის თქმა ფაქტის დადასტურების ტოლფასია. რადგან იმ შემთხვევაში თუ გავრცელებული ინფორმაცია სიყალბეა, მას არაფერი, არც სხვათა შორის სამსახურებრივი ვითა კხელს არ შეუშლიდა უარყოფის ინფორმაცია, — წერს აფხაზეთის ერთ-ერთი ოპოზიციური გამოცემა. ამასთან ერთად, კერძო საუბრებიდან ასევე ირკვევა, რომ თავად რუსეთის ელჩმა აფხაზეთში დოკუმენტის ხელმოწერამდე მოითხოვა დაეზლოკათ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სადემარკაციო საქმეებს შეეხება. მავანნი დე ფაქტო პრეზიდენტის სიტყვებს იმომბეზნ, თითქოს ბალაფშმა განაცხადა, რომ — „გავენები, გადავდგები, მაგრამ ამ დოკუმენტის გათრევის არ დავუშვებ, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი მთელი თავისი მთიანი ტერიტორიის ნაწილს კარგავს, — წერს აფხაზეთი მედია და აღნიშნავს — 160 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია რუსეთისათვის ძალიან მცირეა, აფხაზეთისათვის კი — არა. — როგორც ქართულ-აფხაზეთი ომის ერთ-ერთმა ვეტერანმა აღნიშნა, ეს არის ზემო და ქვემო ეშერის ტერიტორია, რომლის აღმოსავლეთით, ომის დროს მთავარი საცეცხლე ზღვარი გადიოდა, — წერს მედია. X0-308-360



ბეების მოვლა-პატრონობას, აღდგენასა და მშენებლობას. სახელმწიფო წრეებიდან აცხადებენ, რომ ტაო-კლარჯეთში აღდგება ოთხი ეკლესია, ჩვენს ქვეყანაში კი, შესაბამისად, გარემონტდება სამი და აშენდება ერთი ახალი მეჩეთი. ერთი მათგანი — აზიზას მეჩეთი — თავის დროზე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, თურქეთის სახელმწიფომ ბათუმში ააგო, რომელსაც დიდხანს არ უარსებია.

ზნაობის კრიზისი

მანათლებლის სიტყვაში გატარებული და მიმდინარე რეფორმების ფონზე, ქართულ მეცნიერებას „შავი დღე“ უდგას. ვითარება მართლაც იმდენად მძიმეა, რომ მალე, შესაძლოა მუსხელიშვილის, ვეკუას, შანიძის, ხარაძის, გამყრელიძისა თუ მრავალი სხვა აღიარებული ჩვენი თანამემამულის ნაკვალევი ფენის დადგმის მსურველიც არ დარჩეს. თუ იმას გავიხსენებთ, რომ თავის დროზე სახელმწიფომ არაერთ მკვლევარს შიმშილით ამოხადა სული, არსებულ მიდგომაში გასაკვირი არც არაფერია.



ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი სპაპ მებრევილი, „პი-პი-პი-საუბარში“ აცხადებს, რომ დღეს ქართული მეცნიერების ამოკალიფსი დადგა!

როცა ეროვნულ სამეცნიერო ინსტიტუტში მეცნიერის ხელფასი ხელზე 150 ლარია (ნახევარ შტატზე მყოფთათვის - 75 ლარი), რალაზე უნდა ვილაპარაკოთ?! არც სამედიცინო დაზღვევა, არც რამე შეღავათი, არც პერსპექტივა ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისა... თეიმურაზ ხევისთავივით სულს ღაფავს ქართული ინტელიგენტი, თანაც პროტესტის დიდი სურვილიც არა აქვს. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ დღეს მეცნიერი ქუჩაში აღარ გამოვა, მიტინგს ვერ მოაწყობს და მიზანმიმართულად დაიწყო

ნასაარჩევნოდ, ამ ბაკქანალიაში, თვით ოპოზიციასაც არ გავხსენებთ, რომ ჩვენი მდგომარეობა კოზირად გამოყენებინა! ამ სახელმწიფოში არავის ვჭირდებით და, შესაბამისად, არც არავის ვახსოვართ! მედიასაშუალებები დიდი ხანია გულგრილი არიან სამეცნიერო ელიტის მიმართ, თორემ ქუჩაში გამოყრილი მსოფლიოში სახელგანთქმული მათემატიკის ინსტიტუტისა და,

დაინტერესებული ერთი მინისტრი მაინც?! ახლა სამინისტროსაც ჩამოგვაშორეს და, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მიერ ხელმოწერილი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის დადგენილებით მსოფლიოში ცნობილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს სახელმწიფო უნივერსიტეტებს უერთებენ! ამ გადაწყვეტილებით, მხოლოდ მათი კუთვნილი მოძრავი ქონება დაუკანონდათ - მაგიდები, კომპიუტერები... და არა - შენობები!

მაღე ჩვენი მოგვიწევს შენობის დატოვება, თუმცა საკითხავია, რა ბედი ელის ინსტიტუტის უმდიდრეს ბიბლიოთეკას?! როგორი იქნება სტრუქტურა, გარემო და სამუშაო უკვე მერამდენედ რეფორმირებული ინსტიტუტისა?!

როცა ქვეყანაში რევოლუცია ხდება, სულ ერთია, ვარდების იქნება ის თუ ყოჩივარდების, მას თან ახლავს წგრევა, წგრევა კი მსხვერპლი მოსდევს.

ინსპექციაში აუცილებლად უნდა დარეგისტრირდე ინდემნარმედ (როგორ მოგნონთ, ინდემნარმე-მეცნიერი)! დაბეჭდილი წიგნები უნდა დაიბეგროს, ის წიგნებიც კი, რომლებსაც ამ გაჭირვების ჟამს ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცემ ან თუნდაც მეცნიერ-კოლეგას, დედას, მეგობარს თუ შვილს აჩუქებ! ასეთია კანონმდებლობა დღეისათვის. ამისთვის საბუღალტრო ცოდნაა აუცილებელი და, თუ თავად ვერ გაერკვევი, ბუღალტერი უნდა აიყვანო, რომ საგადასახადოში წარსადგენი დოკუმენტაცია მოგინდეს. და ეს მაშინ, როცა ას წიგნზე მეტს ვერ ბეჭდავს მეცნიერი და ისიც, ძირითადად, ბიბლიოთეკებსა და კოლეგებს უნდა დაურიგოს საჩუქრად!

განა არ შეიძლება, გაყიდული წიგნის საგადასახადო თანხა თავად მაღაზიიდან ავტომატურად ირიცხებოდეს ბიუჯეტში?! რად უნდა ამას ამდენი ფილოსოფია და წვალება?!

და, როგორც მას.ლომ, მათი ხელფასიც განიხილავს.

ნუ აურევთ ერთმანეთში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს! ხელი-სუფლებამ მაღალი ხელფასი, მათი ცოდნისა და ღირსების შესატყვისი დამსახურებული ანაზღაურება დაუნიშნა სწორედ პრეზიდენტს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებსა და წევრებს, რამდენიმე ათეულ ადამიანს! თუმცა აკადემიას ინსტიტუტები დიდი ხნის წამორთმეული აქვს და, სამწუხაროდ, საზოგადოებას ჯერ არ მოუშენია პროტესტი ამის თაობაზე! მე რეფორმირებული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ვარ, კონკურსის წესით ორჯერ არჩეული ამ თანამდებობაზე, ხუთი წიგნის, ორმოცი სამეცნიერო სტატიის ავტორი და ჩემი ხელფასი 150 ლარია. ჩემთვის უცნობია, ვისი ხელფასები გაზარდა პრეზიდენტმა! გამუდმებით საუბრობენ მასწავლებლის ხელფასზე, დაზღვევაზე... არასდროს - მეცნიერის ბედზე! ისე საკითხავია, ვინ უნდა ჩამოაყალიბოს მასწავლებელი ქვეყანაში, ვინ უნდა მისცეს მას ადეკვატური ცოდნა და ვინ უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ლიტერატურით?!

# „ღღეს ქართული მეცნიერების აკოკალიფსი დადგა!“

შესაბამისად, მთელი ქართული მეცნიერების ბედით მაინც უნდა აღელვებულებოდნენ. არაერთ გაზეთს გაუზღავენ წერილი მეცნიერების კრიზისის შესახებ და არც ერთი მათგანის სარედაქციო ინტერესებში ეს თემა არ შევიდა!

არასოდეს ასეთი დაუცველი, შეურაცხყოფილი, პატივ და ღირსება აყრილი არ ყოფილა ქართველი მეცნიერი!

**- მსოფლიო დაბალი ხელფასიანი მეცნიერთა წინაშე დღეს არსებული პრობლემა?**

- ეს არ არის დაბალი ხელფასი, ეს საარსებო მინიმუმი და ზოგჯერ მასზე უფრო მცირეც!

თუმცა მხოლოდ ეს არ არის მეცნიერების კრიზისის პრობლემა. ახლა სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან მიერთების მქვეყნარე პროცესი დაიწყო! შენობები საპრივატიზაციო ნუსხაშია შეტანილი და სახელმწიფო ინვესტირებს ელოდება, აბა, ვინ რამდენს გადაიხდის და ვინ უფრო ძვირად იყიდის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ინსტიტუტების პრეტიჟულ შენობებს. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა და კაცმა არ იცის, კადრების ოპტიმიზაციის სახელით, კიდევ რა ტიპის კონკურსების გავლა და სამსახურიდან გაყრა ელის მეცნიერებს. აღარაფერს ვამბობ, ინსტიტუტების ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალზე, ამდენ უმუშევრად დარჩენილ ადამიანზე!

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ეკუთვნოდა მეცნიერებათა აკადემიას, მის სისტემასა და დაქვემდებარებაში შედიოდა. მერე დაშალეს აკადემია (რას ერჩოდნენ!), განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიყვანეს და მიუმატეს სახელი „მეცნიერების სამინისტრო“! თუ ახსოვს ვინმეს მეცნიერების პრობლემა

როგორც ჩანს, მეცნიერება ამ სახელმწიფოში დროისა და ეპოქის მსხვერპლად იქცა!

უნივერსიტეტიდან გამოყრილ სამეცნიერო ნაწილს გვეუბნებოდნენ, კაბინეტები არ გაუქმებულა, აღვადგენთო... ხუბუა წავიდა და აკადემიური საბჭოს თხოვნით მოწვეულმა (მორიგი ცინიზმი, რომელი ლოგიკით, რატომ უნდა სთხოვოს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ჯანდაცვის მინისტრს, მოდი, მოგვხედო!!!) და ახლა უკვე არჩეულმა რექტორმა მიიღო მძიმე მემკვიდრეობა. დარწმუნებული ვარ, კარგა ხანს, სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება! პირიქით, კრიზისი და ხელფასებზე დამატებით კიდევ 5 პროცენტი ჩამოგვეჭრა!!!

უზარმაზარი პრობლემაა წიგნის გამოცემა. იმიტომ კი არა, რომ ძვირი ჯდება და, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, მეცნიერმა თავისი მწირი ხელფასით ეს შეძლოს. წიგნი რომ დაბეჭდო, საგადასახადო

მეცნიერთა წინაშე არსებული პრობლემა უამრავია. არაა ერთიანი სტრუქტურა ჩამოყალიბებული საიმისოდ, რომ პერიფერიებში გამოშავალი სა-



მეცნიერო ჟურნალები ხელმისაწვდომი იყოს ჩვენთვის. უნივერსიტეტების გამოცემები ხშირად ეროვნულ ბიბლიოთეკამდე ვერ აღწევს და არ ვიცით, რაზე წერენ ბათუმსა თუ ქუთაისში... ჩვენი კოლეგები, აღარაფერს ვამბობ უცხოურ ლიტერატურაზე! ჯერ ერთი, მათი შესყიდვის შესაძლებლობა უნდა გქონდეს და მეორეც, ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

**- პრაზიდიანტი რამდენჯერამ შეხვდა მეცნიერებს**

**- მიუხადავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეში ინფორმაციული ტექნოლოგიები ფუფუნება აღარაა, მეცნიერება მაინც ყოველდღიურად ვითარდება, ძარბოვლილი მეცნიერება კი მსოფლიო მიღწევას ჩამორჩება. განსაკუთრებით ეს ეხება ტექნიკურ დარგებს, რა უნდა გაკეთდეს საამი-**

არა მგონია, ტექნიკური მეცნიერება ასე საგრძნობლად ჩამორჩებოდეს საერთაშორისო მიღწევებს, თუმცა ნუ შეიქმნით იმის ილუზიას, რომ ციფრული ტექნოლოგიები ასე ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის! აბა, ერთი ჩამოიარეთ და ნახეთ, რა ტექნიკური ბაზა აქვთ სამეცნიერო დაწესებულებებს. ამ პრობლემაში მეცნიერს გაუჭირდება კომპიუტერის შეძენა და არა მგონია, სამსახურებში ასე უზრუნველყოფილი იყვნენ ამ ტიპის საშუალებებით. გარდა ამისა, მეცნიერების დონე მაღალი ვერ იქნება, თუ საერთაშორისო კონფერენციებზე ან სამეცნიერო მივლინებით წასვლისა და მუშაობის შესაძლებლობა არ მოგეცა. ამისთვის საჭირო რაც არის, კარგად მოგახსენებთ, თორემ არა მგონია, ქართველ მეცნიერს რომელიმე უცხოელ კოლეგაზე ნაკლები პოტენცია, უნარი და ინტერესები ჰქონდეს!

№ 5 83

### ინფორმაცია

## ეპროპარლამენტი კვლავ დაუბრუნდა ტერიტორიას „ოკუპაციას“

ტირმინი - „ოკუპაცია“ კიდევ ერთ საერთაშორისო დოკუმენტში ჩაიწერა. ამჯერად რუსეთის მიერ საქართველოსადმი განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებს შესაბამისი შეფასება ევროპარლამენტისა და საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მიერ მომზადებულ რეზოლუციაში მიეცა.

დოკუმენტის მიღებამდე, ევროპარლამენტისა და საქართველოს თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც, ევროპარლამენტის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაც ესწრებოდა.

მიღებულ რეზოლუციაში, ასევე საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ევროპარლამენტი მოუწოდებს ევროკავშირს, დააქაროს მოლაპარაკებები საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ.

ევროპარლამენტში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრები აცხადებენ, რომ ასეთი დოკუმენტები კიდევ უფრო ამყარებს იმ დიპლომატიურ საფუძვლებს, რომლებსაც საბოლოოდ საქართველოს დეოკუპაცია უნდა მოჰყვებ.

აკლესია

დღევანდელ საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) სულ უფრო და უფრო მწვავედება კონფლიქტი ოფიციალურ, „ნეოლიბერალურ“ იდეოლოგიასა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობას შორის. ამასთანავე, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს, რომ ეს კონფლიქტი არის არა უმნიშვნელო „ტაქტიკური გაუგებრობა“, არამედ სტრატეგიული დაპირისპირება ორ იდეოლოგიურ სანაწილს შორის, რამაც უნდა გადამწყვიტოს ის, თუ რა გზით განვითარდება საქართველო უახლოეს მომავალში ან განვითარდება თუ არა იგი საერთოდ.

უკვე არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ საქართველოში საკმაოდ გავლენიანი ძალების მიერ ხორციელდება სრულმასშტაბიანი შეტევა მართლმადიდებლურ იდეოლოგიაზე. დღეს ეს უკვე ნათელია, თუმცა ამ ბრძოლის დასაწყისი ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს, შეიძლება ითქვას, შეუძნეველი დარჩა. ეს მოხდა რამდენიმე მიზეზის გამო: პირველ რიგში ქართული აზროვნებისთვის ცნობილი იყო ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის მხოლოდ საბჭოური ვარიანტი, რომელიც მეოცე საუკუნის 20-იან წლებში საკუთარ თავზეც გამოცადა, მაგრამ თუკი მაშინდელი ბრძოლა მიმართული იყო ძირითადად რელიგიის რიტუალური და ზეზუნებრივი ნაწილის წინააღმდეგ, დღეს სახეზეა „სრულმასშტაბიანი დექრისტიალიზაციის“ მცდელობა, ანუ ბრძოლა და კამათი მიმდინარეობს არა მხოლოდ მარცხის ან ზიარების სარგებლობა-უსარგებლობაზე, არამედ მართლმადიდებლობის მიერ შემუშავებული ამქვეყნიური ეთიკის წინააღმდეგაც (სექსუალური უმცირესობების საკითხი და ა.შ.), რაც 20-იანი წლების ბოლშევიკებსაც კი არ დაუყენებიათ დღის წესრიგში.

მეორე მიზეზი კი ამ „შეუმწველოების“ ის არის, რომ ქართული საზოგადოება არ ელოდებოდა და ვერც წარმოადგენდა მოვლენების ასეთ „შემობრუნებას“, რადგან „ნესიო“ ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო - ათეისტური სახელმწიფოს ნგრევის შემდეგ გათავისუფლებული რელიგია ვინამდენიმე არნახული მასშტაბებით ვითარდებოდა: გაიზარდა ეკლესიებისა და მრევლის რაოდენობა, შეუდარებლად გაიზარდა ეკლესიის ავტორიტეტიც, მაგრამ ამ წარმატებებისა და ზრდის ფონზე იზრდებოდა დაპირისპირებაც. 2003 წლის შემდეგ კი უკვე ნათლად გამოიკვეთა ის კონფლიქტი, რაც 90-იან წლებში მხოლოდ ეკლესიის შიგნით თუ იგრძნობოდა.

იმისთვის, რათა გავიგოთ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები მომავალში, აუცილებელია, გავიაზროთ ამ დაპირისპირების რეალური მიზეზები. ფაქტია, რომ „ანტიმართლმადიდებლურ კამპანიას“ საქართველოში რამდენიმე მიზეზი აქვს: ზოგი მათგანი აშკარად „ტაქტიკურ“ ხასიათს ატარებს და მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებისა და ტოტალური ომის კამპანიის ფონზე მმართველი რეჟიმისთვის აშკარად „მიუღებელია“ ისეთი იდეოლოგიის „უკონტროლო გაძლიერება“, რაც ამ ორ ხალხს აერთიანებს ან ზოგადად ხელს უშლის სიძულვილის გაღვივებას. ამ ყველაფერზე უკვე ბევრი დაიწერა, მაგრამ არის თუ არა სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ნეოლიბერალური სახელმწიფო „ვერ ეგუება“ ეკლესიის ავტორიტეტს?

რა თქმა უნდა, არის! ანტირელიგიური კამპანიის ძირითადი მიზეზი მხოლოდ რუსეთთან დაპირისპირება რომ იყოს, მაშინ ეს კამპანია უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ საქართველოში (ან მსგავს სიტუაციაში მყოფ ქვეყნებში) მაგ-

რამ რელიგიისა და რელიგიური ფასეულობების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას ვხვდებით მსოფლიოს ყველა წერტილში, სადაც ნეოლიბერალიზმი გაბატონებულ იდეოლოგიად გვევლინება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, აზროვნების ეს ორი მიმდინარეობა ფუნდამენტურად შეუთავსებელი არიან და იდეაშიც კი არ შეუძლიათ ერთი საზოგადოების შიგნით ჰარმონიული თანაცხოვრება.

ამის დამტკიცება საკმაოდ ადვილია, თუკი ჯერ გავარკვევთ რა არის ზოგადად რელიგია და რა ფუნქციებს ასრულებს (უნდა ასრულებდეს) იგი საზოგადოებაში. თავდაპირველად, ნებისმიერი რელიგია, ნებისმიერ საზოგადოებაში ასრულებდა სამ ძირითად ფუნქციას. ესენია: რიტუალური ფუნქცია (მასში შედის რელიგიის ფორმალური ნაწილის ჩამოყალიბება) სოციალურ-

# ნეოლიბერალიზმი და მართლმადიდებლობა

რი ფუნქცია (სოციალური უთანასწორობის შემცირებაზე ზრუნვა) და მორალურ-ეთიკური ფუნქცია, რაშიც იგულისხმება საზოგადოებისთვის მისი ღირებულებების მორალური დოქტრის შემუშავება და მისი დაცვა.

ნეოლიბერალიზმისთვის აბსოლუტურად უმნიშვნელოა რელიგიის პირველი, რიტუალური ასპექტი და ამ კომპონენტში მას ნებისმიერ რელიგიასთან შეუძლია „დათმობაზე წასვლა“. ეს ხდება არა იმიტომ, რომ ნეოლიბერალიზმი ზოგადად კრეაციონიზმისკენ იხრება - რა თქმა უნდა არა - ნეოლიბერალიზმისთვის ყველაფერი, რაც რელიგიის ზეზუნებრივი ნაწილს უკავშირდება, საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ „პიპოთეზია“ და მას სერიოზულად არც უყურებს. სწორედ აქედან იღებს სათავეს ის მითი, რომ ნეოლიბერალიზმი რელიგიის მიმართ შემწყნარებლური იდეოლოგიაა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი, ასე ვთქვათ, პრიმიტიული შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს ასე.

სინამდვილეში ნეოლიბერალიზმი გაცილებით სერიოზულ წინააღმდეგობაშია რელიგიასთან და კონკრეტულად მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან, ვიდრე თუნდაც სოციალიზმი, რადგან ნეოლიბერალიზმისთვის მიუღებელია მართლმადიდებლობის ორი უმნიშვნელოვანესი ამქვეყნიური ფუნქცია: ქრისტიანული თანასწორობის იდეა და ქრისტიანული ეთიკა.

შესაბამისად, თუკი სოციალიზმი თითქმის უცვლელად იღებდა ქრისტიანობის სოციალურ და მორალურ ფუნქციებს (თუნდაც „კომუნისტების მშენებლის მორალური კოდექსი“ გავისხენოთ), ლიბერალ-დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფომ არა თუ თვითონ არ „აიღო“ ეს ფუნქციები, არამედ უკვე კარგა ხანია, ეკლესიაც კი „დაცალა“ ყოველგვარი სოციალური აზრისგან

და დღეს მუშაობს იმაზე, რომ იგი დაცალოს ასევე მორალურ-ეთიკური პრინციპებისგანაც, რის შემდეგაც ეკლესია გადაიქცევა უბრალოდ ერთგვარ სარიტუალო სამსახურად, რომელსაც არავითარი გავლენა საზოგადოებრივ, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე უკვე აღარ ექნება.

სწორედ ამისთვის მიდის ბრძოლა დღევანდელ საქართველოშიც: ნეოლიბერალური იდეოლოგია „დიდსულოვნად უთმობს“ ეკლესიას იმქვეყნიური ცხოვრების აღწერის პრივილეგიას (ეს არც არის გასაკვირი - ისინი ცინიკურად „ეთანხმებიან“ ერთდროულად ყველა რელიგიას, რომლებიც იმქვეყნიური ცხოვრების აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს გვთავაზობენ და სულაც არ აწუხებთ ის პრობლემა, რომ ყველა მათგანი მართალი ერთდროულად ვერ იქნება), ამ „დათანხმების“ საფასურად კი ნეოლიბერალიზმი მოითხოვს ეკლესიისგან, არ ჩაერიოს „ამქვეყნი-

ის მისცა ბიძგი თავის დროზე უამრავი სექტის ჩამოყალიბებას, რომლებიც „პირველსანაწილს ქრისტიანობასთან“ ითხოვნენ დაბრუნებას (კათარები, მილერანელები და ა.შ.), ხოლო შემდგომ ათეისტური კომუნისტების განვითარებას. უკვე ახალ პერიოდში ლიბერალურმა და ბოლოს ნეოლიბერალურმა სახელმწიფომ იმდენად დაიმორჩილა ეკლესია, რომ იგი „გათავისუფლა“ მორალური კანონმდებლის როლისგანაც და ამის შემდეგ რა გასაკვირია, როცა თანამედროვე ევროპელი ვერაფერს ხედავს თავის რელიგიაში გარდა რიტუალისა. როდესაც დასავლეთში საუკუნეების მანძილზე ადამიანებს უჩინდებოდათ პროტესტი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ევროპული ეკლესია მათ მოუწოდებდა... მოთმინებისკენ (რაც, რა თქმა უნდა არსებულ რეჟიმს აძლევდა ხელს); როდესაც დღეს მათ უჩინდებათ პროტესტი ამორალური იდეე-

ბის პროპაგანდის მიმართ - ევროპული ეკლესია ... ან ისევე მოთმინებისკენ მოუწოდებს, ან საერთოდ, ოფიციალურად „აქორწინებს“ ერთსქესიან წყვილებს. შესაბამისად, ეკლესია ევროპული ადამიანის შეგნებაში უკვე დიდი ხანია, არაფრით განსხვავდება სახელმწიფოსგან და მათ მიმართ დამოკიდებულებაც აბსოლუტურად იდენტურია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ დასავლეთში მოსახლეობის თუნდაც „არათეისტი“ ნაწილისთვისაც რელიგია არის ისევე და ისევე მხოლოდ რიტუალი, ანუ საკვირაო წირვაზე (ხანდახან) დასწრება, თორემ ქრისტიანობის ნამდვილ არსზე ამ „მორწმუნეების“ აბსოლუტური უმრავლესობა ზუსტად იმდენივეს (და უფრო ნაკლებსაც) ფიქრობს, რამდენსაც მათი ათეისტი თანამოქალაქეები.

მაგრამ დავუბრუნდეთ საქართველოს. დასავლურ ეკლესიასთან შედარებით ქართული ეკლესია დღეს ძალიან დამოუკიდებელია სახელმწიფო იდეოლოგიისგან და სწორედ აქედან გამომდინარეობს დღევანდელი დაპირისპირებაც. დასავლური ან თუნდაც რუსული ეკლესიისგან განსხვავებით, ქართული ეკლესია უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არა მარტო არ იყო დაქვემდებარებული საერო ხელი-სუფლებას, არამედ დაპირისპირებულიც კი იყო მასთან. ეს ძირითადად იმიტომ იყო გამოწვეული რომ ამ პერიოდში ქართული სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი პოლი-

ტიკური ერთეული, არ არსებობდა. ეკლესიის უს - დამოუკიდებლობა განსაკუთრებით გამოიკვეთა საბჭოთა პერიოდში, როცა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ უბრალოდ იძულებული გახადა ეს უკანასკნელი, დაეკავებინა სახელმწიფოსგან აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია. ქართული ეკლესია იმ პერიოდში არ ნახულა სტრატეგიულ დათმობაზე წასვლამწიფოსთან, რადგან ვისაც დასავლური ისევე ალარაფერი აქვს, მას არც არაფრის ეშინია და არც დათმობაზე მიდის.

მაგრამ დღეს ეს დამოუკიდებლობა უკვე ძალიან ალიზიანებს „დემოკრატიული“ საქართველოს ხელმძღვანელობს. მათ ძალიან ჭირდებათ ეკლესიის მხარდაჭერა. ის ბრძოლა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომელიც დასავლეთში აქტიურ ფაზაში შევიდა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს (და აქვე აღვნიშვნავ, რომ ეს ბრძოლა იყო გაცილებით სასტიკი, ვიდრე „წითელი“ რევრესიები 20-იან წლებში), შეიძლება ითქვას, ძირითადად დამთავრდა მეოცე საუკუნის ბოლოს და დამთავრდა ნეოლიბერალური სახელმწიფოს სრული გამარჯვებით. მაგრამ თუ ეს ბრძოლა დასავლეთში უკვე დამთავრდა, აღმოსავლეთის „ახალ დემოკრატიებში“ იგი სწორედ ახლა იწყება და ნეოლიბერალური სახელმწიფო მიზნად ისახავს, ზუსტად ისეთივე მორჩილ ინსტიტუტად აქციოს მართლმადიდებლობა, ისლამი და ა.შ. როგორც თავის დროზე გადმოაქცია ევროპული ეკლესიები. პირველბა, როგორც ჩანს, მუსლიმანებმა გააცნობიერეს, რომ დასავლური დემოკრატია და რელიგია ერთსა და იმავე ქვეყანაში ეს იგივეა, რაც ცეცხლი და წყალი ერთ ქუარჭელში. სწორედ ეს არის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) მიზეზი აღმოსავლეთში რელიგიური ფანატიზმის არნახული გაძლიერებისა. თუმცა უკვე საქართველოშიც დიდი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იღონ ნაწილი აცნობიერებს, რომ ნეოლიბერალიზმი არ დაკმაყოფილებდა „დათმობებზე წასვლით“ და აუცილებლად შეეცდებოდა ეკლესიის სრულ დამორჩილებას.

ის მყოფე „შეთანხმება“, რომელსაც დღევანდელი ნეოლიბერალური სახელმწიფო დებს ეკლესიასთან, საბოლოო ჯამში არც ერთი მხარისთვის არ არის მისაღები: ერთ მხრივ სახელმწიფოს მიერ ხდება ეკლესიის „ალიანება“ (მაგრამ მხოლოდ როგორც იდეალისტური სწავლების და არა როგორც იდეოლოგიის), თუმცა იმავე დროს განუწყვეტილ მიმდინარეობს ეკლესიისა და ქრისტიანობის მორალური საფუძვლების კრიტიკა და „გაშარება“. მეორე მხრივ, ეკლესიაც აღიარებს სახელმწიფოს უზენაესობას, მაგრამ მასაც არ შეუძლია დიდხანს „მოიტყუოს“ საკუთარი თავი“ და ჩუმად იყოს მაშინ, როცა სახელმწიფო იმ იდეების პროპაგანდას ეწევა, რომლებიც ეკლესიას უშეძლებს ცოდვებად აქვს გამოცხადებული.

შესაბამისად, დაპირისპირება ნეოლიბერალიზმსა და მართლმადიდებლობას შორის არის სტრატეგიული, გნებავთ ანტაგონისტური დაპირისპირება, რომელიც დროთა განმავლობაში კი არ შემცირდება, არამედ სულ უფრო და უფრო გაღრმავდება და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ რომელიმე მხარე საბოლოო გამარჯვებას არ მიაღწევს. ამიტომ მომავალში, ჩვენ აუცილებლად მივიღებთ ან ქრისტიანულ ეთიკაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, ან ისეთ ეკლესიას, რომელიც, ევროპული ანალოგების მსგავსად, ნეოლიბერალური სახელმწიფოს „სასულიერო განყოფილებად“ იქნება გადაქცეული და ყველაფერს „აკურთხებს“ - ერთსქესიანი ქორწინებებისა და სხვა „ფუნდამენტური უფლებების“ ჩათვლით.

ზვიად ავალიანი





ფისკალური პოლიტიკა

სამონღლის წარმოების თუ გაყიდვის, მომსახურების, ექსპორტი-იმპორტის ოდენობის უტყუარი აღრიცხვა ფისკალური პოლიტიკის ქვაკუთხედი რომაა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ეკონომიკური აქტივობის მოცულობის ზუსტ ცოდნას კი უშუალოდ არის მიზნული სხვადასხვა სახეობის გადასახადები, მათთან დაკავშირებული ათასგვარი ჯარიმა, სანქცია-საურავი... ყველაფერი ეს კი, ერთად თავმოყრილი, იმ საზოგადოებრივ სახსრებს, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტს შეადგენს, რომელზეც უშუალოდაა დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე და უამრავი სხვა

დაიბრუნებს, რადგან მენარმე სუბიექტებს ახალ მოწყობილობებში ფულის გადახდა მოუწევთ. 100 ათას ახალ სალარო აპარატს (პირველ ეტაპზე) საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, რამდენადმე კვლევის სახელწოდების ბუღალტერი კომპანია „დეიზი ტექნოლოჯი“ შემოიტანს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ უმშვენიერეს ქვეყანაში მაღალი კლასის ტექნიკის წარმოების შესახებ მაინც დამაინტერესებელი ბევრი სასიკეთო აქამდე არ გვსმენია. არადა, ახალი სალარო აპარატებით მენარმე სუბიექტების აღჭურვის აუცილებლობის ოფიციალურ ვერსიად სწორედ რომ ამ-

დაცემა, ხოლო გადასახადების მსხვილ გადახედვებს 300-300 ლარის გადახდა მოუწევთ. ამ თანხას ის მენარმე სუბიექტები გადაიხდიან, რომელთა წლიური ბრუნვა 250 ათას ლარს აღემატება, ხოლო ახალ სალარო აპარატებს მენარმე სუბიექტებში ეტაპობრივად დადგამენ. საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში კვლავინდებურად იმოქმედებს ძველი წესი - პირველ ჯერზე გაფრთხილება, მეორე ჯერზე 500-ლარიანი ჯარიმა, შემდეგ ჯერზე მისი კიდევ გაზრდა და... ცხადია, დიდ პრობლემები ფისკალურ ორგანოსთან. მეტად საინტერესოა, ჩვენი აზრით, ახალი სალარო აპარატების ფასიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ ეტაპზე 100 ათასი ცალის შემოსატანად 13,3 მილიონი დოლარია გამოყოფილი, მასადაამე თითოეული აპარატის შემოტანა სახელმწიფოს 133 დოლარი ანუ, თუ ერთ დოლარს 1,7 ლარად ვიანგარიშებთ, დაახლოებით 226 ლარი დაუჯდება. მაშ, იქნებ აგვისსან, ეს „300 ლარი“ საიდან გაჩნდა, რა ფასადაა მათ მსხვილ მენარმეებს მიჰყიდებიან?

ბამარტიკების გზით მიჰყავართ, როგორ... რვენივე სარჯით



რამ. ამდენად, სავსებით გასაგებია, რომ ქვეყანას ფინანსთა სამინისტრო საქონელბრუნვისა თუ მომსახურების ზუსტი აღრიცხვის უზრუნველსაყოფად ირჯება, მაგრამ გაუგებარია, ამას უგერგილოდ რატომ აკეთებს.

მათ, ვინც ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესს მეტ-ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ახსოვთ, თუ რა ვნებათაღელვა მოჰყვა რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკმაოდ მკაცრ დადგენილებას ყველა სავაჭრო თუ მომსახურების მიმართულ დოკუმენტზე სალარო აპარატების უპირობო დადგმის თაობაზე. და თუმცა სადღეისოდ ფაქტობრივად სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტების უმეტესობაში სალარო აპარატები (რომლებიც, სხვათა შორის, ისევე ამ ობიექტების მეპატრონეთა მიერვეა შეძენილი, რაც ბევრ მათგანს საკმაოდ სოლიდური თანხა დაუჯდა) მოქმედებს, როგორც ახლა გაირკვა, მათ „გარკვეული ხარვეზები აღმოაჩნდათ“, რაც ფინანსთა სამინისტროსთვის კიდევ ერთი დადგენილების გამოცემის საფუძველი გახდა, რომლის თანახმად, შემოსავლების სამსახურის, სავადა-სახადო ადმინისტრირების სრულყოფისა და გამარტივების მიზნით, ეკონომიკური ობიექტების ახალი სალარო აპარატების აღჭურვას აპირებს.

წელან უკვე აღვნიშნეთ, რომ სალარო აპარატები ფისკალური პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ საბაჟო გადასახადები (მაგალითად, იმპორტზე, დღე და ა.შ.) სახელმწიფო ბიუჯეტის არანაკლებ მნიშვნელოვანი მუხლია, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი „სახელმწიფო ჯიბიდან“ კი არ ფინანსდება, არამედ ისევე მენარმე სუბიექტების კისერზე გადადის. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ, მართალია, ახალი სალარო აპარატების შემოსატანად ფულს ფინანსთა სამინისტრო გაიღებს, რის თაობაზე შეთანხმებას უკვე მოაწერა ხელი გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ ბულგარულ კომპანია „დეიზი ტექნოლოჯისთან“ და სათანადო სახსრებიც გამოყო - 13,3 მილიონი დოლარი - მაგრამ ამ თანხას მალევე უკან

უამად მოქმედთა მუშაობაში „გარკვეული ხარვეზები“ სახელდება. ამასთან დაკავშირებით, სულ მცირე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ ორი მისთვის არცთუ სასიამოვნო კითხვა იბადება: როცა დღესდღეობით მოქმედი სალარო აპარატები შემოჰქონდათ, განა მაშინ ამ ხარვეზების თაობაზე არავინ არაფერი იცოდა? თუ ასეა, მაშინ მისი შემოტანის კონსიკვრით უნდა გააგდო სამსახურიდან, თან სათანადო პასუხისმგებლობაც დააკისრო. მეორე კითხვა კი ასეთია: ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ „დეიზი ტექნოლოჯის“ მიერ მოწოდებული აპარატები სრულად დააკმაყოფილებს თავისი „სრულყოფითა და სიმარტივით“ მენარმეთა შემოსავალზე ფინანსთა სამინისტროს მკაცრ შედამხედველებს? ამ სალარო აპარატების ფულს ხომ მენარმე სუბიექტები გადაიხდიან, რომლებიც, შემდეგ, ცხადია, ამ ფულს ისევ მოხმარების ჯიბიდან, ანუ ერთიანად ყველა ჩვენგანისგან ამოიღებენ ფაქტობრივად, ამის შედეგად, ჩვენს კეთილდღეობაზე მზრუნველი შემოსავლების სამსახურის ჩინოსანთა ახალი წამოწყება ისევე ჩვენივე დასაფინანსებელი გახდება.

არსებული მონაცემებით, ახალი GPRS-ის ტიპის სალარო აპარატებით მენარმეთა ყველა ფინანსური ოპერაცია შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში ონლაინ-რეჟიმში აღინუსხება, რაც, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, „სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობას გაცილებით გაამარტივებს“. აღნიშნავენ იმასაც, რომ ამ ტიპის აპარატებს ევროპის მრავალ ქვეყანაში წარმატებით იყენებენ. ამასთან, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ამჟამად მოქმედ სალარო აპარატების გაუმართავ მუშაობას თავად ბიზნესმენები უწივიან, რასაც ხშირ შემთხვევაში ფისკალურ ორგანოებთან გაუგებრობა და უდამეტი ხარჯი მოსდევს. ასევე აცხადებენ, რომ ახალი სალარო აპარატები მცირე მენარმეებს უსასყიდლოდ გა-

მეტად საინტერესოა, ჩვენი აზრით, ახალი სალარო აპარატების ფასიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ ეტაპზე 100 ათასი ცალის შემოსატანად 13,3 მილიონი დოლარია გამოყოფილი, მასადაამე თითოეული აპარატის შემოტანა სახელმწიფოს 133 დოლარი ანუ, თუ ერთ დოლარს 1,7 ლარად ვიანგარიშებთ, დაახლოებით 226 ლარი დაუჯდება. მაშ, იქნებ აგვისსან, ეს „300 ლარი“ საიდან გაჩნდა, რა ფასადაა მათ მსხვილ მენარმეებს მიჰყიდებიან?

ქვეყანაში აღრიცხვის ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით, რასაც GPRS სისტემით აღჭურვილმა თანამედროვე აპარატებმა უნდა შეუწყოს ხელი, რომელიც GSM ქსელის მეშვეობით ნებისმიერ ინფორმაციას სერვერზე გადასცემს, როგორც ჩანს, მუშაობის ახალი სტილის შემოღებას შემოსავლების სამსახურს გეგმავს. ხელმძღვანელობის განცხადებით, მათი თანამშრომლები ყველა საჭირო ინფორმაციას ონლაინ-რეჟიმში მიიღებენ, ამდენად პირადად მხოლოდ იმ სამენარმე ობიექტებს მიაკითხავენ, სადაც დარწმუნებით ეცოდნებიან, რომ გადასახადების დამალვას ცდილობენ.

სიმართლე გითხრათ, ეს რამდენადმე არაარგუმენტირებული თეზისი გახლავთ იმ მარტივი მიზეზით, რომ აღვნიშნეთ სიარულს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები მაინც ვერ მოუშვებინან თუნდაც იმიტომ, რომ გადასახადების დამალვის მცდელობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა სამენარმე ობიექტზე შესაბამისი საქონლის ან მომსახურების საფასურის გადასახდელად ჩეკი გამოიწერება, რაც მონაცემთა ბაზაში ავტომატურად აისახება. მაგრამ ჩეკი თუ არ გამოიწერება, მაშინ როგორღა იქნება საქმე? ამას, ცხადია, ფისკალურ ორგანოში ვერანაირად ვერ შეიტყობენ, რომ იტყვიან, „ჩეკზე თუ არ წაასწრებენ“ ფინთ გოგო-ბიჭებს“.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ, სავარაუდოდ, ახალი სალარო აპარატების მეშვეობით ფისკალურ სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ორ მხარეს შორის ერთმანეთისადმი პრეტენზიების მნიშვნელოვანი შემცირება და, შესაბამისად, ადმინისტრაციული ჯარიმების საგრძნობი კლება უნდა მოყვეს. ამან, უწინარესად, უნდა განაპირობოს ის, რომ ფისკალურ ორგანოთა წარმომადგენლებმა, წესით და რიგით, გადასახადების პატიოსანი გადახედვით საერთოდ არ უნდა შეანუსონ.

სწორედ ეს და მენარმე სუბიექტთა საქმიანობის თაობაზე მონაცემთა ერთ ბაზაში თავმოყრილი ღირსეული მონაცემები 13,3 მილიონი დოლარია, რა თანხის დიდ ნაწილს ისევე ჩვენვე გადაგვასდევინებენ, ბატონებო!

ოთარ ტურაბაილიძე

პრობლემა: კერძო თუ საჯარო სკოლა?

„სოციალიზმი განათლების სფეროში“

ახლანდელ საქართველოს პარლამენტში შეტანილმა ცვლილებამ კერძო სკოლების ვადამდელი ავტორიზაციის შესახებ, საგონებელში ჩააგდო კერძო სკოლების მებატონეები.

კერძო სკოლების ფუნქციონირების შესახებ კანონი 1997 წელს მაშინდელმა მთავრობამ მიიღო. 2005 წელს „ვარდოსანმა ხელი“ სუფლებამ“ ყველა ლიცენზირებულ და კერძო სკოლას 2009-10 წ.წ. მისცა მოქმედების ვადა, მაგრამ 2009 წელს საქართველოს პარლამენტმა ეს ვადა კერძო სკოლებს 2014-2015 სასწავლო წლამდე გაუგრძელა. ახლა პარლამენტში კი ისევ შეტანილია ცვლილება კერძო სკოლების ვადამდელი ავტორიზაციის შესახებ. საქართველოში 300-მდე კერძო სკოლა და ავტორიზაციისათვის შესატანი თანხა შეადგენს 6000 ლარს, თანაც არც ერთ სკოლას არა აქვს გარანტია ავტორიზაციის გავლისა.

დღემდე განათლების სამინისტროს საჯარო სკოლების ოპტიმიზაციით გამოთავისუფლებული არც ერთი სკოლის შენობა-ნაგებობა ან საიჯაროდ არ გაუტანია აუქციონზე და, ამდენად, არც ერთ კერძო სკოლას არა აქვს საკუთარი კორპუსი. განათლების სამინისტროს კერძო სკოლების განვითარების ხელშეწყობისათვის არასოდეს უფიქრია, თუმცა ეს კანონით ევალება, სამაგიეროდ სოციალიზმი უნდა დამყარდეს განათლების სფეროში და მხოლოდ საჯარო სკოლები უნდა დარჩნენ, რადგან ავტორიზაციას საკუთარი კორპუსის გარეშე ვერც ერთი კერძო სკოლა ვერ გაივლის. ზუგდიდში ამჟამად 6 კერძო სკოლა ფუნქციონირებს და ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ალბათ ყველაწინ შეწყვეტენ არსებობას.

მაინც რამ განაპირობა განათლების სამინისტროს სასწრაფო გადაწყვეტილება კერძო სკოლების ავტორიზაციაზე? ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის მკითხველებს თავის მოსაზრებას უზიარებს განათლების დარგის ზუგდიდელი ექსპერტი, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა: „განათლების სამინისტრო გადააკვდა საჯარო სკოლები“

ინფორმაცია

„ფული არის. კონტროლი - არა“

რუსეთის მიერ აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაგზავნილი თანხა არაეფექტურად გამოიყენება. ეს განცხადება პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა სერგეი მიხევემ გააკეთა.

ფული არის, კონტროლი კი არ არის. გასულ წელს რუსეთმა თავის თავზე აიღო ვალდებულება აფხაზეთისათვის დახმარების სახით თითქმის 11 მილიარდი რუბლი გამოეცხადებინა. დაახლოებით 3 მილიარდი აფხაზეთმა 2010 წელს მიიღო. თუმცა ამ თანხის მხოლოდ 60% იქნა ათვისებული, - აცხადებს მიხევე.

რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თანხების არაეფექტურ გამოყენებაზე საუბრისას, ექსპერტები აუცილებელი ფინანსური ინსტიტუტების არარსებობაზე მიუთითებენ.

ბის მორთვა-მოწყობას, მათ ეგზავნებათ ყველაფერი რაც კი სჭირდებათ სკოლებს: კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერები, სასწავლო ინვენტარი და რაც მთავარია, გაზრდილი ვაჭირები. მიუხედავად ამისა საჯარო სკოლებმა ვერ შეძლეს მთავარი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების მინიმალურ დონემდეც კი სწავლება, ამ მხრივ კერძო სკოლებში სასწავლო საგნების სწავლება მაღალ დონეზე დგას, რასაც საჯარო „პრესტიჟული“ სკოლებიდან საუკეთესო მოსწავლეების კერძო სკოლებში გადასვლა ატყობებს. ბავშვები საუკეთესო გარემოს მქონე საჯარო სკოლებიდან ცოდნის მისაღებად ღარიბი მატერიალური ბაზის მქონე კერძო სკოლებში არჩევენ სწავლას. ამის გამო სამინისტრო თვითონ აღმოჩნდა უდიდესი პრობლემის წინაშე, კერძოდ კარზე მომდგარ საატესტატო გამოცდებს სამინისტროდან მიტოვებული კერძო სკოლების მოსწავლეების 90 პროცენტზე მეტი ჩააბარებს, ხოლო სამინისტროს ფავორიტი საჯარო სკოლების მოსწავლეების მხოლოდ 10-15 პროცენტს აქვს ჩაბარების უნარი. სწორედ ამიტომ განიზრახა განათლების სამინისტრომ სამაგალითოდ დასაჯოს კერძო სკოლები ვადამდელი ავტორიზაციით, ამით მყარდება სოციალიზმი ამ სფეროში, რომ თუ არ იქნება კერძო სექტორი, არ იარსებებს ჯანსაღი კონკურენცია საჯარო და კერძო სექტორს შორის. ამით საჯარო სკოლები მაინც ვერ განვითარდება“, - აღნიშნა განათლების ექსპერტმა. საატესტატო გამოცდები ორ თვეში დაიწყება, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებას ვერ კიდევ ბევრი უჭლია. არ არის საკმარისი კომპიუტერები, ვერ ამონტაჟებენ ვიდეოკამერებს. ამიტომ ყოველი რაიონი დაიყო 4-5 კმ-იან ზონებად, რომ ამ ზონის სკოლის ბავშვები ერთ სკოლაში ჩააბარებენ გამოცდებს. თუ როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა სოფლების ბავშვების დროული მოყვანა გამოცდებზე, ვერჯერობით უცნობია.

ლალო ძირია, 8584000



პარაპული

ბმრმანაშვილს მეცნიერება ა. ბეტერისმა გამოიანგარიშა, რომ ამჟამად დედამიწაზე ქალები ასრულებენ სამუშაოთა ორ მესამედს, იღებენ მთელი ხელფასის ერთ მესამედს და მათ ხელშია კაცობრიობის ქონების მხოლოდ ერთი მეხუთედი. საინტერესო გამოკვლევა ჩატარდა შედეგით. გოტენბურგის უნივერსიტეტის ორმა მკვლევარმა ქალმა სკრუპულოზური გამოკვლევებითა და მათემატიკური სიზუსტით დაამტკიცა, რომ ქალები მამაკაცებზე 2-3-ჯერ უფრო ნაყოფიერად მუშაობენ, სამაგიეროდ ხარისხები, სტიპენდიები, პრემიები, გრანტები და ციტირება სამეცნიერო ნაშრომებისა და ა. შ. სხვადასხვა პრივილეგიებს მამაკაცები უფრო ადვილად იღებენ. აშკარად გამოჩნდა ქალების დისკრიმინაცია არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებასა თუ წრეებში, არამედ ადამიანთა მოდერნიზაციის ისეთ ელიტარულ სფეროებშიც, როგორცაა მართვა და პოლიტიკა.

თანამედროვე მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა კულტურაში საკმაოდ ნათლად არის გამოკვეთილი ქალისა და მამაკაცის სხვადასხვა ფუნქციები სოციალურ ყოფაცხოვრების ნებისმიერ სფეროში. თავდაპირველად ქალები, კაცებისგან განსაკუთრებულად ცხოვრობდნენ, დამოუკიდებლად ეწეოდნენ სამუშაოებს საქმიანობას და ა. შ. ოჯახის წარმოშობის შემდეგაც ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ასეთი ურთიერთობა, მაგალითად ტერიტორიული ხელშეუხებლობა. მამაკაცს ქალის დაუქობიანებად არ შეეძლო საქალებში შესვლა და პირიქით. აზიის, აფრიკის ბევრ ქვეყანაში დღესაც არის შემორჩენილი მაგიდასთან ცალცალკე ჯდომის წესები (ასევეა კავკასიის ზოგიერთ ხალხშიც). ორივე მხარე პატივს სცემდა ერთმანეთის უფლებებს და იცავდა თავის ტერიტორიულ თუ პიროვნულ დამოუკიდებლობას.

ოჯახის წარმოშობის შესახებ საინტერესო გადმოცემა არსებობს აფრიკის მასაის ტომის ხალხში. უძველეს დროში კაცები განცალკევებით ცხოვრობდნენ და ნადირობით ირჩენდნენ თავს, ქალები მისდევდნენ ოჯახურ მეურნეობას, მწყემსავდნენ თხებს, აზნაბდნენ სხვადასხვა პროდუქტს, უკლიდნენ ბავშვებს, სახლს და ა. შ. ნელინადში რამდენჯერმე, განსაკუთრებით გაზაფხულის ბუნიობისას ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, რის შედეგადაც მოვლენილ არსებებს ქალები გარკვეულ ასაკამდე დამოუკიდებლად ზრდიდნენ. შემდეგ გოგონებს თავისთან იტოვებდნენ, ხოლო ბიჭებს მამებს მიჰყავდათ. ასწავლიდნენ იარაღის კეთებას, მათ ხმარებას, ნადირობას და ა. შ. ერთხელ ტყეში თხების სამწყვსად წასულ ლაპარაკში გართულ ქალებს თხები დაეპარათ. ბევრი ეჭებეს, მაგრამ მათ გზაკვალს ვერ მიაგნეს, ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდნენ, მამაკაცებისათვის მიმართული დახმარებისთვის. მამაკაცებმა აღუთქვეს დახმარება, მაგრამ მანამდე ქალებს მათი მიტოვებული საცხოვრებელი ადგილისთვის უნდა მიეხედათ. აი, ასეთი დაუდევრობით დაკარგეს ქალებმა თავისუფლება. ყოველგვარ თქმულებაში, ზემოთ გადმოცემაში, მითში არის შემართების მარცვალ (ჩვენ შემდეგ დაიგნახათ როგორც ამ აფრიკის ტომის, ისე ბევრი დიდი მოაზროვნის ცნობიერებაში ქალი ხშირად გაიკვირებულია დაუდევრობასთან, ბედოვლობასთან და ქაოსთან).

ჩაგვირის ელემენტ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში პატრიარქატმა შემოიტანა, რომლის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა ძველმა საბერძნეთმა. ფუნქციების იმგვარად დაყოფა, რომელიც ამჟამად არსებობს ქალსა და მამაკაცს შორის დაამყარა საბერძნეთმა, ხოლო შემდეგ განამტკიცა რომის სამართალმა. სიცოცხლის ორი საწყისიდან ერთ-ერთის გაძლიერებამ ჯერ დააჩინა, შემდეგ კი თითქმის სრულიად განდევნა ქალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ შემეცნების სფეროდან. მეტიც, შუა საუკუნეებში საერთოდ ეჭვის ქვეშ დააყენეს ქალის ადამიანური წარმოშობა. იგი გააიკვივს სამყაროს ბნელ ძალებთან, ქაოსთან, ხოლო წესრიგ, სამართალი გონიერება - მამაკაცთან. გ. ცნობილი ფილოსოფოსი შოპენჰაუერი ქალს ადარებდა ბატს, ნიცშე - კატას, უკეთეს შემთხვევაში - ძროხას, არისტოტელემ კი პირდაპირ თქვა, ქალი ეს ბუნების შეცდომაა. გაბატონდა აზრი ქალის არასრულფასოვნების შესახებ. რელიგიის ჩასახვის შემდეგ ქალის აღსკრიმინაცია სულ

უფრო გლობალური ხდება (რა გასაკვირია, თეოლოგია ხომ ყოველთვის მამაკაცების ხელში იყო). რელიგიაში ქალს ცოდვილის იარლიყი მიაკერა და ყოველგვარი ადამიანური უფლებები წაართვა მას. მსოფლიო საეკლესიო კრებამ (585 წელი) საერთოდ ეჭვექვეშ დააყენა ქალის ადამიანური წარმოშობა და მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით მიიღო, რომ ქალსაც აქვს სული და ისიც ადამიანია. ინდოეთის „მანუს კანონის“ თანახმად, ქალი ბავშვობაში მამას უნდა ემორჩილებოდეს, გათხოვებისას ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ კი - ვაჟს უნდა ემორჩილებოდეს. ანუ, ქალი ყოველთვის მამაკაცის მორჩილების ქვეშ უნდა ყოფილიყო, რამეთუ ქმარია ცოლის მბრძანებელი, ოჯახის უფროსი. ბიბლია გეგმოდგრაგვს, ცოლები, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც თქვენს უფალს, რამეთუ ქმარია ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე ეკლესიისა.

ყურანი გვიმტკიცებს, ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან, იმიტომ რომ ალაჰმა უბოძა უპირატესობა პირველს მეორეზე.

# პატრიარქატში - კაცობრიობის უხელოება?

იუდეველები ღვთის მიმართ აღვლენილ ლოცვაში ამბობდნენ: მადლობელი ვარ შენი უფალი, რომ ქალად არ გამაჩინე. მაშაშინა, რომელმაც თავის აქლემს ადამიანის ნახევარი სული მიანიჭა, ქალში მეოთხედიც არ ინაშა. ნეტარმა ავგუსტინემ „ეშმაკის ჭურჭლად“ აღიარა ქალი. ბერძენი პოეტი პესიოდე ამბობდა „ვინც ქალს ენდობა, ენდობა ჭურდსო“, ხოლო ერთ-ერთმა ცივილიზებულმა ერმა - ფრანგებმა „ეძიეთ ქალი“, დაასკვნა, ანუ ყოველგვარი დანაშაულისა და უბედურების მიზეზად ქალი დასახელდა. სამოთხის დაკარგვა ევას დაბრალდა, ეგვიპტის დამხობა კლეოპატრის მიწერეს, ტროას ომის მიზეზად ბერძნებმა ელენეს სიმშენიერე გამოსახეს, ებრაელებმა ეროვნული ძლიერების სიმბოლოს სამსონის დამარცხების მიზეზად დალილა აღიარეს, ოქროს საწმისის დაკარგვა მედეას დაბრალდა და ვინ მოთულის კიდევ რამდენი რა?

ახლა თვალის გადავავლოთ სამართლის კანონების დამოკიდებულებას ქალის მიმართ. რომის სამართლის თანახმად, ქალს ჰქონდა მხოლოდ ერთი უფლება, უფრო სწორად მოვალეობა - ბავშვის გაჩენისა და აღზრდის უფლება. სიმწიფის ასაკად ითვლებოდა ქალებისთვის 12 წელი (კაცების - 14 წელი). შუა საუკუნეების დომინიკელი ბერი ნიკოლო ბაიარდი წერდა: ქმარს აქვს უფლება, დასაჯოს თავისი ცოლი, სცემოს მას, მაგრამ ზომიერების ფარგლებში, სწავლის მიზნით! ანუ ასე და ამრიგად უნდა დაერიგებინა და ჭკუა ესწავლებინა ცოლისთვის. საერთოდ ჭკუარაღ ქრისტიანად მხოლოდ ქალწული ითვლებოდა. IV-V საუკუნეებში ნეტარი ავგუსტინე ამტკიცებდა, რომ ქორწინება არც თუ ისე ცუდი რამ არის. თუმცა, ქორწინების მთავარ დანიშნულებად მან იცოცხლებოდა შვილების ყოლა და მკაცრად იყო ხაზგასმული, რომ ეს კავშირი გამორიცხავდა ხორციელ სიამოვნებას. ასეთი შეხედულება გამეფებული იყო IX საუკუნემდე და მხოლოდ IX საუკუნეში იქცა ის რელიგიურ საიდუმლოებად. მანამდე ქორწინების ინსტიტუტიც არ არსებობდა. ოჯახად ითვლებოდა ქმრის ნათესაობასთან ქალის მეტ-ნაკლებად მუდმივი და ერთობლივი თანაცხოვრება, ხოლო ცოლების რაოდენობა ნორმირებული არც იყო. უფრო მეტიც, ისინი შეიძლებოდა გაეცვალათ ან დროებით სარგებლობაში გადაეცათ მეგობრებისათვის ან ნათესაუბრისთვის ან უბრალოდ გაეგდათ. მაგალითად, სკანდინავიურ ქვეყნებში უკვე ჯვარდანიერი ცოლი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ქმრის ნათესავადაც კი არ ითვლებოდა. ცოლებსა და ქალიშვილებს არავითარი უფლება

ბი არ ჰქონდათ მეუღლისა თუ შვილების ქონება. ქალიშვილს თუ ვერ გაათხოვებდნენ, მონასტერში აგზავნიდნენ. ასე ექცეოდნენ ქვერეებსაც. მხოლოდ XII საუკუნეში მიიღეს ცოლებმა და დედისებთან ქალიშვილებმა მემკვიდრეობის უფლება. გაბატონებულმა პატრიარქატმა ვერა და ვერ გაათავისუფლა ვერც მოსეს ათი მცენება და ვერც ქრისტეს სიყვარულის მოძღვრება. მისთვის უფრო მახლობელი აღმოჩნდა აგრესიის, ძალადობის, ჩაგვრის, პატივმოყვარეობის სურვილებით აღსავსე შურისძიების კოდექსი. მიემართო მსოფლიოს ისტორიას. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ჩვენი ცივილიზაციის ხუთი ათასი წლის მანძილზე კაცობრიობამ დაახლოებით 15 520 დიდა და პატარა ომი გადაიტანა, სადაც დაიღუპა 3650 მილიონი ადამიანი. ინკვიზიტორები ქრისტეს სახელით აუტოდაფუხე აგზავნიდნენ ყველა ერეტიკოსს, ანუ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს. 18 წლის მანძილზე ინკვიზიციის მეთაურმა ესპანეთში დომინიკელმა ბერმა თომას ტორკემადამ (XV საუკუნე) ცოცხლად დაწვა 10 000 ადამიანი. ჯვარს

აცვეს ქრისტე, მისი მოციქულები, ცოცხლად დაწვეს ჯორდანო ბრუნო, იან პუსი და კიდევ რამდენი წმინდანი, უკეთილშობილესი თუ ზნესრული ადამიანი. მარტო მე-20 საუკუნეში ორი მსოფლიო



ომი გაჩაღეს თანამედროვე კაცობრიობა. ესეც არ იკმარეს და ატომური თუ წყალბადის ბომბებით დანაშაულს და მოსპეს სრულიად უდანაშაულო ადამიანები. რა თანხებზე ხარჯავენ თანამედროვე უსახელონიფიციანი შეიარაღებულ, ის სახსრები რომ ადამიანის უფროსელობას, განადიდების ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ხმარებდნენ, დედამიწა უკვე დღესდღეობით წაღკოტად იქნებოდა ქვეყლი. პატრიარქატის საქმეთა საგმიროს ვინ ჩამოთვალს - ინდოეთის ზოგიერთ მხარეში დაქვერებული ქალებს... ცოცხლად წავადნენ ტრადიციული წესების თანახმად. აფრიკაში არის ტომი, სადაც გოგონებს, გარკვეულ ასაკში მკვრდს აჭრან. იქაური მამაკაცი დიდი სიამოვნებით იროთავენ ცოლად ასეთ მკვრდმჭრილ ქალიშვილებს... რადგან თურმე ტყეში სანადიროდ დიდი ხნით გასული მამაკაცი გაცილებით მშვიდად გრძნობენ თავს და უკეთ ნადირობენ (ასეთი მკვრდით „დამშენებულ“ ქალები უცხო მამაკაცს ნაკლებად ააღელვებს). ახლა ვნახოთ რა ზეგავლენა მოახდინა ცივილიზაციის ამგვარად ცალმხრივად და ტენდენციურად განვითარებამ თვით ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებასა და მის მსოფლმხედველობაზე. აღორძინების ეპოქის ენციკლოპედისტებმა, რაციონალიზატორებმა აღმოაჩინეს და ბუნების, საზოგადოების ევოლუციის ზოგადი კანონზომიერებანი, ირაციონალიზმს ადგილი არ დაუტოვეს. მათვე ქალის დაუპირისპირეს წესრიგს, ირაციონალიზმი - რაციონალიზმს და ა. შ. მე-19 საუკუნეში ნიცშემ იწინასწარმეტყველა ღმერთის სიკვდილი, რაც გულისხმობა და მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების გაფუჭიშებას საზოგადოებაში და ადამიანის დაცემას, უზნეობის და ამაოებათა ამაოების გაბატონებას. სიამოვნება, გამორჩენა, ძალაუფლება - ამ ენებებმა ჭკუდანი შემა-

ღეს და დაიმონეს თანამედროვე ადამიანი. კომფორტიზმმა ისე მოაჯადოვა ჩვენი ცოდვილი ცნობიერება, ისე მოსწყვიტა ბუნებას, ღმერთს, კოსმოსს, რომ დაგვაიკნისა არა მარტო სულიერი, ზნეობრივი თუ მორალური ფასეულობანი, არამედ საკუთარი არსებაც, რომ აღარაფერი ვთქვათ შთაბოძავალთა ცხოვრებაზე. არავის შეუძლია უხეში მატერიალური გრძნობებით ღმერთის შეცნობა, რადგან ღმერთი მატერიალური ბუნების მიღმა იმყოფება. ბუნება, ისევე როგორც ნამდვილი ქალი, ასე ადვილად არ იხდის საიდუმლოების საბურველს და ჩვენს გარემოს, კოსმოსს, ბუნებას უფრო ქალური ცვალებადი ხასიათი აქვს, ვიდრე მამაკაცი. თანამედროვე პროგრესი დაფუძნებული იყო რაციონალიზმზე, ლაბალასიულ მკაცრ, მოწესრიგებულ მოძღვრებაზე, ვიდრე მარადიულ და ფუნდამენტურ ღირებულებებზე. ამ ტენდენციურმა მიდგომა, ასეთი ტიპის მსოფლმხედველობის გაბატონებამ ვერ გააძრწოლა. უფრო მეტიც, სრული კრახი გაინიცადა, რისი უშუალო დადასტურებაც

დაღვიანდელი მსოფლიო. მეცნიერები ამბობენ, რომ ქალის ბუნების ფუნდამენტური თვისებაცაა. წესრიგი და ქალის ორი უკიდურესობაცაა, რომელიც არსებობს ჩვენს რეალურ სამყაროში. პარადოქსი ის არის, რომ ქალის უფრო მეტად საიმედოა გარკვეულ საზღვრებში, ვიდრე წესრიგი. ჭეშმარიტად კაცობრიობის ბორკილებს ახსნის სპონტანური, ქალური ტიპის ცივილიზაცია, რომელიც იქნება ალბათ უდიდესი აღმოჩენის და ადამიანთა სრული განსხვავებული ურთიერთობების ეპოქა.

ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და პირდაპირ მიუთითებს, რომ „პატრიარქატი - გადახრა კაცობრიობის ჭეშმარიტი გზიდან“ (ე. ბადინგერი). ბერძნებს უყვარდათ გამოთქმა - ზომიერება ყველაზე მაღლა. ასე რომ, რადიკალიზმი და მაქსიმალიზმი აქ სიკეთეს ვერ მოგვიტანს. ჭეშმარიტება ალბათ სადღაც წონასწორობის ნერტივში მდებარეობს და ჩვენი აზრით პატრიარქატი განვითარების მხოლოდ ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს.

ცნობილმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში, ფრიდრიხ შაივემ ადამიანთა საზოგადოებაში გამოპყოს ცივილიზაციის სისტემის ორი ძირითადი ტიპი: გონიერი და სპონტანური (ქალური) წესრიგი. პირველი შექმნილია ადამიანის მიერ და ფუნქციონირებს წინასწარ შემუშავებული ჩანაფიქრისა და გეგმის მიხედვით და ხორციელდება კონტრულული ბრძანება-განკარგულებებით. ასეთია მაგალითად არმი, მთავრობა, სახელმწიფო წარმოება-დანესტრუქციონი და სხვა. ხოლო ქალური წესრიგი არ წარმოადგენს ვილაციის ჩანაფიქრს, ანუ იღებს, რაც მთავარია არ ექვემდებარება ვისიმე ნებას და არ იმართება ცენტრიდან. ასეთი თვითრეგულირებადი სისტემებია ენა, მორალა, სამართალი და თვით ჩვენი - ცივილიზაცია. ის სპონტანურად, თავისთავად გამოიშვადება კულტურული ევოლუციის სხვადასხვა ფაზების გავლისას, გონიერი წესრიგი მუდმივად ცვალებადი თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც შესაბამისობაში ასევე მოქმედებს ცვალებად ჩვენს სამყაროსთან. შაივეის აზრით ეს ცვალებადი წესრიგი ზეგონებრივი და მას მიყვარათ გაუთვალისწინებელ, კეთილისმყოფელ შედეგებთან. გონების უდიდესი დამახსურება ის არის, რომ გრძნობს და შეგნებულად აქვს თავისი მსოფლმხედველობა. სწორედ ეს განცობიერება თავისი მუდმივადი შესაძლებლობების შესახებ აძლევს მას გარღვევის შემეცნების სფეროს გაფართოების და აზროვნების უძლიერეს ძალას. ანუ, ქალური წესრიგი უფრო მაღალი აზროვნების დონის სისტემაა, რის შესაბამისად აუცილებლად შეიცვლება

აზროვნების სტრუქტურა. რადგან მონოპოლისკენ წინადადება წინადადებას უგუნურობისაკენ მიყვარათ. ფსიქოლოგები, გენეტიკოსები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ქალი და მამაკაცი ურთიერთდაპირისპირებული და განსხვავებული არსებანი არიან და რომ ჩვენი არსებობის ევოლუციისთვის და სრულყოფილი განვითარებისთვის საჭიროა ამ განსხვავებათა ყოველმხრივი კულტივირება, თუ არადა, მივიღებთ ლესბოსელებისა და ჰომოსექსუალების თაობას, ანუ მუტანტ, გადაკარგულ არსებებს. ქალსა და მამაკაცს შორის არსებობს ფუნდამენტური ბიოლოგიური განსხვავება, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ ინტელექტზე, ფსიქიკაზე, ყოველქვეყნაზე. გენეტიკოსები ამბობენ, რომ დედამიწაზე არსებობს მხოლოდ ორი რასა - ქალი და მამაკაცი და რომ ისინი ხშირად სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებს უფრო აკვანან, რადგან ერთი და იგივე მოვლენებს, სიტუაციებს, საგნებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ და აქედან გამომდინარე მათი სტრატეგიაც და ტაქტიკაც განსხვავებულია. თანამედროვე მეცნიერებამ ქალსა და მამაკაცს შორის 110-მდე თეოსობრივი განსხვავება აღმოაჩინა და იმედოვნებენ, რომ ეს რაოდენობა გაიზრდება. მაგრამ განსხვავება ურთიერთშეთავსებლობას არ ნიშნავს. პირიქით, სწორედ ეს დაპირისპირება ამდიდრებს მათ და აძლევს მძლავრ სტიმულს პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის, ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას საზოგადოების სასარგებლო ნევრად.

მშვიდობიანი, გონიერული თანაარსებობა ურთულესი ამოცანაა, ამ თვისების გამო მუშაობა მხოლოდ უდიდესი ძალისხმევითა და მოთმინებით მიიღწევა. მამაკაციური ძალის პოზიციებიდან საკითხების მოგვარებას ნარკოტიკული ზემოქმედების უნარი აქვს და ჯაჭვური რეაქციით ხასიათდება, როცა ყოველი შემდგომი ნაბიჯი მოითხოვს წვეთის ძალის გადიდებას, ხოლო მაღალი წნეებით საქმის მოგვარების პოლიტიკას კი უგუნურობამდე მიყვარათ. ამიტომ, ყოველი გონიერი გაურბის, ეწინააღმდეგება, ებრძვის ან, პირიქით, ისწრაფვის და მიუღწევის მას, რაც საკუთრივ მის ნებაზეა დამოკიდებული და უდრტივირებული იღებს ყველაფერს, რასაც საერთო ბუნება ემორჩილება, ხოლო ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთისკენ მიისწრაფვის უზენაესი სრულქმნილების წყურვილის გამო. ჩვენ ურთიერთთანამშრომლობისათვის ვართ შექმნილი და არა ერთმანეთის დასაჭერად და მოსასპობად. ამიტომ დაუნდობლობა, ერთმანეთის განადგურება სამყაროს უნივერსალური კანონის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს.

პროფ. მარკ ვუტტის თანახმად ომი არის მამაკაცის ფსიქიკისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი თვისება, რადგან ის ფოკუსირებულია მეტოქეობასა და შეჯიბრებაზე. ამჟამად დადგენილია, რომ ქალის ტიპის 15-20 პროცენტით მეტ ნაცრისფერ ნივთიერებას შეიცავს, ვიდრე მამაკაცისა, ხოლო მამაკაცის ტიპში უფრო მეტია თეთრი ნივთიერების მასა და შიგა სისხე. ქალის ტიპი უფრო მცირე მოცულობისაა, მაგრამ უფრო მეტ აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. ასევე ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში ქალს აქვს უნარი დაინახოს ორივე მხარის სიმართლე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილე თვითონ არის. ქალები ინტუიციურად სწრაფად აფასებენ ადამიანს, გრძობენ და განჭვრეტენ მათ მიზნებსა და რეაქციებს, ასევე უფრო მეტ თანაგრძობას იჩენს მოყვასის მიმართ. ამიტომაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სულ უფრო იზრდება ქალთა რაოდენობა ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში. მაგალითად: ნორვეგიაში პარლამენტის 48 პროცენტში ქალია, შვეიცარიაში 54 პროცენტში, თვით მუსლიმანურ პაკისტანში 30 პროცენტს აჭარბებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია დანესდეს კვობები, რათა ქალი შეადგენდნენ წარმომადგენლობით ორგანოებში საერთო რაოდენობის მინიმუმ 40 პროცენტს. ასევე ურთიერ არ იქნება თუ გადმოვიღებთ ბევრი მონიშნავ ქვეყნის გამოცდილებას და თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დაინიშნავთ ქალს, რაც, ჩვენის აზრით, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას.



სულაც არ მისჯება...

მთავრობა მოგებას ნელ-ნელა ბპარკებს!

დღემანდელ ყოფას რომ ვაანალიზებ, ჩვენგან დაუნებელი სოციალიზმის უვარგისობაში სულ უფრო მეტად ვრწმუნდები. განა იმიტომ, რომ მაშინ ტანსაცმელი, საჭმელ-სასმელი და სამკურნალო მედიკამენტები გვაკლდა. არა, პირიქით, ეს ყველაფერი იყავა, მაგრამ არ იყო დემოკრატია, არ იყო ინტერესი და მოგება.

დაუვიწყრად ამ სიტყვებს: არ იყო ინტერესი, არ იყო მოგება! საბაზრო ეკონომიკამ სოციალიზმი და სანუკვარი კომუნისმი სწორედ ამით დაჯაბნა - მოსპო წარმოება, ფაბრიკა-ქარხნები, ადგილობრივი პროდუქცია და მათ ნაცვლად გაზარდა პირადი დაინტერესება. დაინტერესებული ადამიანები კი თურმე რას არ სჩადიან. ყველაფერს სად ჩამოვთვი, მაგრამ ნათქვამის საილუსტრაციოდ იმის თქმაც კმარა, რომ მთელი ქვეყანა, - პრეზიდენტით დაწყებული და მათხოვრით დამთავრებული, - ბიზნესის კეთებაზე გადასული.

მე პირადად, მაგალითად, გამდიდრების საკუთარი გზა გამოვშებენ - ბიზნესს პენსიიდან ვაკეთებ. როგორც, გაიკვირებთ. ახლავე მოგახსენებთ.

თავდაპირველად სულ პატარა საქმით - სიგარეტით დავიწყე. არ იფიქროთ ყიდვა-გაყიდვას მოვეკიდე. არა, რომ ვნახე, პენსია მარტო წამლების საყიდლად არ მყოფნიდა, უბრალოდ, ნევას გადავეჩვიე. ამით ყოველდღიურად 2 ლარი, ხოლო თვიურად 60 ლარის ეკონომია (მე პირადად ამას მოგებას ვეძახი) გავაკეთე.

ცოტა ხანში ქათმისა და საქონლის ხორცის ჭამასაც გადავეჩვიე (კვირაში საშუალოდ ერთ დედალსა და ორ კილოგრამ ძროხის ხორცს ვეახლებოდით) და დამატებით თვეში 35-40 ლარი დავზოგე, ანუ ეს ფული, ჩემი ჭკუით, მოგებაში გაეშვი. მერე კარაქი, ყველი, ძებვეულიც დაეთმე და მოგებას ათეულობით ლარი შევმატე. იმ დანჯეფილი სოციალიზმის ხანაში ზოგჯერ ხიზილალას, გოქსა და ინდაურსაც ხომ ვყიდულობდი - ესეც შენი სულ მცირე 100 ლარი!

მომავალიც გარანტირებული მაქვს. ეს რაღაც გლობალური კრიზისის ფასებს ისეთი ტემპით მიერეკება, რომ შეიძლება მოკლე ხანში ჭამას სულაც გადავეჩვიო და რამდენიმე წელიწადში (თუ დამცვლად) მილიონერი გავხდეთ. აშენა ღმერთმა საბაზრო ეკონომიკის მომგონი, სოციალიზმში რომ ჩავრჩენილიყავით, ამდენ მოგებას საიდან დავაგროვებდი?

ამ ინფლაციამ ხომ მთლად შავი დედალივით გამაკეთა. სხვას რომ თავი დავანებოთ, წარმოიდგინეთ, მარტო საქარმა რამდენი ფული მაშოვნინა. რომ შევატყვე, ძვირდებოდა, ჭკუა ვიხმარე, ერთბაშად მთელი ტომარა საქარავი დევი (კილოგრამი 1,3 ლარად), რომელიც ორ დღეში კილოგრამი 3 ლარი გახდა. ამას დაუმატეთ ქალაქის მერიის მიერ სოციალურად დაუცველთათვის გახსნილი „ნუგეისი მაღაზიები“, სადაც დღე

ში საშუალოდ 3-5 ლარის მოგებას ვნახულობ.

მარტო ეს არ არის. ბიზნესის კეთებით იმდენად დავინტერესდი, რომ საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთი კანონზომიერებაც აღმოვაჩინე. მაგალითად, პრაქტიკით დავადგინე, რომ ბიზნესი და პენსია ერთმანეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში არიან - რაც უფრო მცირეა პენსია, მით უფრო დიდია ბიზნესის კეთების სურვილი. პენსიონერს, რომელსაც ფული მხოლოდ პურისა და შაქრის საყიდლად ჰყოფნის, გაცილებით მეტი აქვს მოგების დაგროვების შესაძობა.

მეორე, რაც მე აღმოვაჩინე, ის გახლავთ, რომ საზოგადოებაში ეს პროცესი გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. ძალიან ბევრმა არ იცის, ასეთი დანახვების წყალობით რა სიმდიდრის პატრონი გახდა და მთავრობას სულ ტყუილუბრალოდ აგინებს. მარტო მთავრობა რას მოგეხმარება, თუ თვითონაც არ გაატოკე ტვინი. შეხედეთ, ქუჩებში ბილბორდებზე, შენობათა ფასადებზე როგორი მოწოდებებია გამოკრული - ჭკუა იხმარეთ, მიეჩვიეთ მოგებასო, გეუბნება მთავრობა და მეტი რალა ქნას?

მე პირადად ისე მივეჩვიე მოგებას, ქუჩაში აკრძალულ ადგილებზე გადავლა-გადმოსვლითაც კი კაიძალ ფულს ვაკეთებ. ამით

ვის ხომ ჯარიმა უნდა გადამეხადა, მაგრამ არ ვიხდი (პატრული რომ შემხედავს, პენსიონერი ვარ, მპატიობს!) და იმ თანხასაც მოგებაში ვანგარიშობ.

ჰო, მთავრობაზე ვამბობდი. ნახეთ ამ ტყუილუბრალოდ ნაგინებმა ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში რამდენი ლატარიები და შოუები შემოიღო იმისთვის, რომ ხალხი როგორმე მოგებას მიაჩვიოს. მაგალითისთვის მარტო „ილიანი ბორბლის“ დასახელებაც კმარა, სადაც მოთამაშე, ფაქტობრივად, არავითარ რისკს არ ეწევა, უბრალოდ ბორბალს დაატრიალებს და სხვა დიდ მოგებას თუ ვერ გამოკრა ხელი, ტბილეულით სავსე კალათას მაინც მიწვევს. ან კიდევ, ნახეთ, ბოლო დღეებში „თიბისი ბანკმა“ რა განძს (იპოვე 10 000 დოლარი) მიაგნო. შე კაი დედამიშვილო, მაინც უსაქმოდ ზისხარ, აიღე ბარი და ნიჩბი, ექმე მთელ ქალაქში სადაღაც მიწაში ჩაფლული ფული და თუ ვერ იპოვი, დასაქმდები მაინც!

რას ერჩი, მთავრობა ნელ-ნელა გვაჩვენებს ხალხს ბიზნესის კეთებასა და მოგებას, რომლისაც თავიდან არავის სჯეროდა. თავიდან არც ის გვჯეროდა, რომ რუსეთთან ომი მოვიგეთ, მაგრამ მერე ხომ დავიჯერეთ? ასევე არ გვჯეროდა, რომ საქართველო მსოფლიომ პირველ რეფორმატორ და დემოკრატიის შუქურა ქვეყნად აღმოაჩინა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ხომ ვირწმუნეთ? ასევე იქნება მოგება და ფულის კეთებაც, რომელსაც თავად ხელისუფლება კარგა ხანია მიეჩვია და ახლა მშვიერი ხალხის მიჩვევასაც ცდილობს.

არ მესმის, რა არის ამაში საძირახისი ან სათაკილო?!

ოთარ სუციშვილი



„ამერიკის ხმა“

საძარტველოში აშშ-ის მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის სამთავრობო კორპორაციის სუთნლიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვაშინგტონმა თბილისს 395 მილიონი დოლარი გამოუყო, მთავრდება. რადიო „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, „საქართველო მილენიუმის პროგრამის ფარგლებში დახმარების მიღებას კვლავაც იმედოვნებს, თუმცა ექსპერტებს საქართველოში მილენიუმის პროგრამის პირველი ეტაპის წარმატებაზე საუბარი გადაჭარბებულად ეჩვენებათ“.

როგორც რადიო იუნყება, „ოფიციალურად მილენიუმის პირველი ეტაპი 7 აპრილს დასრულდება და საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ ქვეყანა მეორე კომპაქტსაც მიიღებს“.

„წლის დასაწყისში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დირექტორთა საბჭომ ვაშინგტონში ახალ ბენეფიციარად განასთან ერთად საქართველოც დაასახელა. ამ ქვეყნებს მიეცათ უფლება, მეორე კომპაქტის დაფინანსების მისაღებად წინადადებები მოამზადონ. თუმცა ეს შერჩევა დაფინანსების ავტომატურად მიღებას არ ნიშნავს, ამიტომ რა ოდენობის თანხა გამოეყოფა საქართველოს, უცნობია“, - აღნიშნავს „ამერიკის ხმა“ და დასძენს, რომ „ამის მიუხედავად, „ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს“ აღმსრულებელი დირექტორი გიორგი აბდუშელიშვილი მეორე კომპაქტის გაფორმებას უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევს“.

„ეს გადაწყვეტილება ძირითადად პირველი კომპაქტისა და საერთოდ, საქართველოს, როგორც ქვეყნის წარმატებამ განაპირობა. იგულისხმება კორუფციასთან ბრძოლა და სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური მიღწევები. შესაბამისად, ამ ორი ძირითადი კომპონენტის გამო საქართველოს მეორე კომპაქტი გამოეყოფა“, - განმარტავს აბდუშელიშვილი.

თუმცა როგორც „ამერიკის ხმა“ აღნიშნავს, „ექსპერტებს, რომლებიც პროექტების მონიტორინგს ახორციელებდნენ, პირველი კომპაქტის

სარაკლამო სვლა

მათთვის, ვისაც უსაბულო გამდიდრება სურს...

რამკლამებს ყველა სახეობის საქონელი და მომსახურება საჭიროებს - ლუდი „ნატასტარიც“, ნაომი კემპბელის სუნამო „ნაომიც“ და როიალების ანყოზაც. პოპულარიზაცია, ცხადია, საბანკო სერვისსაც არანაკლებ ადგება, ამდენად რა გასაკვირია, რომ

„მსპერტებს სპასტოლოებს მილენიუმის პროგრამის პირველი ეტაპის წარმატებაზე საუბარი გადაჭარბებულად ეჩვენებათ“

წარმატებაზე საუბარი გადაჭარბებულად ეჩვენებათ“.

„მილენიუმის ფონდი სკანდალში პირველად 2009 წლის ბოლოს გაეხვა, როცა მისი ყოფილი აღმსარულებელი დირექტორი ლაშა შანიძე დააკავეს. განსაკუთრებით დიდი დარღვევები იყო სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტში, სადაც ელიტური კორუფციის ნიშნები გამოჩნდა“, - განმარტავს „ამერიკის ხმა“.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის მთავრობის გრანტს საქართველო სპეციალური ფონდის - „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მეშვეობით ხარჯავდა. ამ წნის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია, ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის აღდგენა, რეგიონული ინფრასტრუქტურის და აგრო-ბიზნესის განვითარება, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის პროექტები დაფინანსდა. 2005 წლის სექტემბერში ხელმოწერილი შეთანხმება-კომპაქტის ფარგლებში საქართველომ 295 მილიონი დოლარი მიიღო, ხოლო აგვისტოს ომის შემდეგ - დამატებით 100 მილიონი“.

შეგახსენებთ, რომ აშშ ათასწლეულის გამოწვევის პროექტს ლარიბი ქვეყნების დასახმარებლად 2004 წლის იანვრიდან ახორციელებს.

ენო ჩიჩუა, პირველი



ათას დოლარს ის მიიღებს - ეული მაძიებელი იქნება თუ გუნდი - ვინც სხვებზე მეტ საზრიანობას, მონდომებასა და სისხარტეს გამოიჩენს და განძს პირველი მიაგნებს.

პირველი რუკების დარიგება, რომლებშიც პირველი დავალებები იყო მოცემული, იმ დილით ყველა მსურველისთვის თბილისი ბანკის ცენტრალური ოფისისა და ყველა ფილიალის წინ დაინყეს და, უნდა ითქვას, მსურველთა აბსოლუტურ უმრავლესობას 25 წლამდე ჭაბუკები შეადგენდნენ. სარეკლამო კამპანიის არსი კი ის გახლავთ, რომ, როგორც იმავე პრესრელიზშია ნათქვამი, „ვისაც უცაბედი გამდიდრება სურს, თამაშში ჩასართველად საჭიროა ყურადღებით მიადევნოს თვალი ბანკის დეპოზიტების სარეკლამო კამპანიას როგორც ტელეარხებზე, ისე ინტერნეტისფორცეში“.

უნდა ითქვას, რომ თამაშმა, უფრო მართებული იქნება ვთქვათ „კუშის მოხსნის“ სურვილმა იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ პირველი რუკები ყველა მსურველს არ შეხვდა და მას ქარვასლის ბანერიდან და ერთმანეთისგან იხატავდა ასობით ახალგაზრდა, რაც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა აღბეჭდა კიდევ.

ირმა ირაბაშვილი, სურათებზე: სავაჭრო „ქარვასლას“ წინ. ელგუჯა ნაღრამიშვილის ფოტო.



ტელეკლიპების თუ მასმედიაში განთავსებული სარეკლამო განცხადებების პარალელურად საქართველოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომერციულმა თიბისი ბანკმა დედაქალაქის მოსახლეობას დიდად მცდუნებელი, გარკვეულწილად სათავგადასავლო ეფერის მქონე თამაში „იპოვე 10.000 დოლარი“ შესთავაზა.

პრესისთვის გავრცელებულ ინფორმაციაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 18 მარტს დილის 10 საათიდან, ამ „უჩვეულო და ორიგინალურ“ თამაშში სახელწოდებით „იპოვე 10 000 დოლარი“, რომელიც მიწაშია ჩაფლული, მონაწილეობის მიღება, და, შესაბამისად, „განძის“ მოპოვების უფლება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

„ფულის საპოვნელად კი მოთამაშეებს მოუწევთ სხვადასხვა მინიშნებების გამოცნობა და სპეციალური დავალებების შესრულება. ფულის მპოვნელს თანხა საჩუქრად გადაეცემა“, - ნათქვამია პრესრელიზში. ასევე აღნიშნულია, რომ „იპოვე 10 000 დოლარი“ თიბისი ბანკის მიერ დაგეგმილია, რომელიც მიწაშია ჩაფლული, მონაწილეობის მიღება, და, შესაბამისად, „განძის“ მოპოვების უფლება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

რულება. ფულის მპოვნელს თანხა საჩუქრად გადაეცემა“, - ნათქვამია პრესრელიზში. ასევე აღნიშნულია, რომ „იპოვე 10 000 დოლარი“ თიბისი ბანკის დეპოზიტების მიმდინარე სარეკლამო კამპანიის ნაწილია, ფული კი მიწაში ამ კამპანიის

სარეკლამო რუკის წასაკითხად, ასევე შესაბამისი დავალებების შესრულება. თამაში მთელი თბილისის მასშტაბით გაიშლება, რადგან დავალებები მის სხვადასხვა ადგილასაა მიმოფანტული. ათი

მოცნობა მოუწევთ საგანგებო რუკის წასაკითხად, ასევე შესაბამისი დავალებების შესრულება. თამაში მთელი თბილისის მასშტაბით გაიშლება, რადგან დავალებები მის სხვადასხვა ადგილასაა მიმოფანტული. ათი





ჩვენი კარგადინი

დახმარეთ სხვებს და არ დახარდეთ

სოციალური აქტიურობა ხანდაზმულ ასაკში ამცირებს ინვალიდობის რისკს, - დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა.

გამოკვლევაში მონაწილეობა საშუალო ასაკიდან 82 წლამდე 954 ხანდაზმულმა მოხალისემ მიიღო. სპეციალისტებმა დაადგინეს, რამდენად ხშირად დადიან გამოკვლევის მონაწილენი რესტორნებში, სპორტულ ღონისძიებებზე, მიდიან მეგობრებთან ან ნათესავებთან, ან ყოფილი სანაპირო მოგზაურობებს ღამის თევით, დადიან ეკლესიაში და თუ არიან ინტერესების მიხედვით კლუბების წევრები. ინვალიდობის შესაფასებლად ექიმებმა შეამოწმეს ხანდაზმული ადამიანების უნარი იკვებებოდნენ, იცვამდნენ, იბანდნენ პირს, მოძრაობდნენ, სერიზობდნენ, აკეთებდნენ სახლის საქმეებს, ჩადიოდნენ და ამოდოდნენ კიბებზე და გადააქონდნენ ნივთები და მოუკიდებლად.


აღმოჩნდა, რომ სოციალური აქტიურობის მაღალი დონე ორჯერ მეტად გვაცილებს თავიდან ინვალიდობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ სოციალური აქტიურობა აძლიერებს ნეირონულ ქსელს და საყრდენ-სამოძრაო ფუნქციებს, რაც აუცილებელია მოხუცებულობაში გადაადგილებისა და მოქმედების თავისუფლებისთვის.

სასწაულბერივი ჩხვლევა

იაპონელმა მეცნიერებმა შექმნეს უნიკალური პრეპარატი, რომლის ერთ ინიექციას შეუძლია პირდაპირ გააქროს ხერხემალშორისი დისკოს თიაქარი. ეს, რასაკვირველია, სტიქიურ უბედურებამდე მოხდა, ამ დღეებში თავს რომ დაატყდა იაპონიას.

ახალი სასწაულბერივი საშუალების ძირითადი მოქმედი ნივთიერებაა ენზიმი, რომელსაც წარმოქმნიან ბაქტერიები. ხერხემალშორისი დისკოს რბილ ცენტრში შეყვანის დროს ძირითადი შენაერთები, რომლებიც შეიძლება მოინახოს დისკოს შიგნით - ჰონდროიტინ სულფატი და გალურის მუავა - უბრალოდ იხსნებიან. მიღებული ეფექტი უდრის თიაქარის მოშორების ოპერაციას.

იაპონიაში უკვე მოეწყო ახალი პრეპარატის გამოცდა 195 პაციენტის მონაწილეობით, რომელთა ნახევარიც პლაცებოს იღებდა. შედეგებმა ალაფრთოვანეს სპეციალისტები: ახალი ინიექცია აქრობდა თიაქარს, ირგვლივ ჯანსაღი უჯრედების შეუხებლად.



104-ე სდა

ბავშვის ჩასახვისთვის ქალებს სჭირდებათ სასიყვარულო აქტი კვირაში ოთხჯერ ნახევარი წლის განმავლობაში, აჩვენა ბრიტანელების გამოკვლევამ, რომელშიც 3000-ზე მეტი ქალი იღებდა მონაწილეობას.

გამორკვა, რომ ბრიტანელი წყვილები დაორსულებადმდე სექსს ანარმოებენ საშუალოდ 104-ჯერ. ასევე გამოკვლევის წყალობით ცნობილი გახდა საინტერესო მკვრილმანები: ქალების 25 პროცენტი აცხადებდა, რომ სექსი დაორსულების მიზნით „მოსანყენი“ ხდება, მაშინ კაცების 11 პროცენტმა აღიარა, რომ თავს „სრულიად მოქანცულად“ გრძობდნენ.

მედიცინის ალბინიტი

თებერისა და კინოს დანიელი მსახიობი, 150 კილოგრამი წონის იენსენი გახდა ყველაზე მსუქანი მამაკაცი, რომელიც კილიმანჯაროს (5895 მეტრი) პიკზე ავიდა. ახლა იენსენს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ყოველწლიურ ველოგარბენაში კოპენჰაგენში-პარიზში, რის შემდეგაც აპირებს გადაცუროს ერესუნის სრუტე დანიიდან შვედეთში.

მსახიობს გათვალისწინებული აქვს გადაიღოს დოკუმენტური ფილმი თავის სამივე რეკორდზე, ხოლო შემოსავლები მისი ჩვენებიდან გადასცეს დანიის იმ ბავშვთა ფონდს, ვინც კიბოს დაავადებით იტანჯება.

მოგილურები გამართლდებიან

ძსალური ტელეფონის რადიოგამოსხივება არ ზრდის ტვინის კიბოს განვითარების რისკს - ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები მანჩესტერის უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი). ექიმებმა განიხილეს ინგლისში ტვი-

ნის კიბოს დიაგნოზირების შემთხვევები უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და ვერ აღმოაჩინეს არსებითი კავშირი ავადმყოფობასა და მობილური ტელეფონის გამოყენების სიხშირეს შორის.



სამეცნიერო-კლავითი ინსტიტუტიდან ავთიაქამდე

22 თებერვალს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ინოვაციები ჯანმრთელობის დაცვაში: თანამედროვეობა, საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილების გაზიარება“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის სახელმწიფო, სამეცნიერო და საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება სამკურნალო საშუალებების ინოვაციური დამუშავების დანერგვისა და გამოყენების დარგში. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების საკითხების მინისტრის დევიდ ვილესტას სიტყვებით, რუსეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ერთობლივად უნდა განავითარონ ინოვაციები. „ჩვენ უნდა ავიღოთ სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საუკეთესო იდეები და განვხორციელოთ ისინი პრაქტიკაში. იმედო მაქვს, რომ ეფექტიანად ვიმუშავებთ მეცნიერებთან. რუსეთის საინოვაციო ცენტრი „სკოლკოვო“ ანარმოებს დამუშავებებს ფარმაცოლოგიის დარგში და ეს იქნება უზარმაზარ პერსპექტივებს თანამშრომლობისთვის“, - განაცხადა დევიდ ვილესტამ.


ადამი და წალი!

იმ ხალხისთვის, ვისაც დიდახანს უწევს ჯდომა მუშაობის დროს, ორგანიზმის კარგი ფორმის შესანარჩუნებლად საკმარისია მხოლოდ... რაც შეიძლება ხშირად ადგომა ფეხზე, აჩვენა ავსტრიელ მეცნიერთა ამასნიან-დელმა გამოკვლევამ. ამ დროს არ არის საფაფხულო ფიზიკური ვარჯიშები. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ან ერთ ადგილზე ფეხზე დგომა ერთი წუთის განმავლობაში. „ჩვენ ანალიზი გავუკეთეთ იმ ადამიანების ქცევას, რომლებიც დღის განმავლობაში სხედან 2-დან 22 საათამდე. სკამიდან ადგომის რიცხვი 99-დან 1258-მდე შეადგენდა, - აღნიშნეს მკვლევარებმა. - ჯანმრთელობის მდგომარეობის ყველაზე უკეთეს მაჩვენებელს ავლენდნენ ის გამოსაცდელეები, ვინც პროცენტული შეფარდებით ყველაზე ხშირად დგებოდა ფეხზე თავისი სამუშაო ადგილიდან. შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში ამ ხალხს არ ჰქონდათ პრობლემები ზედმეტ წონასთან, მათ სისხლში კი „ცუდი“ ქოლესტერინის შემადგენლობა ნორმის ფარგლებში იყო“.

აგრესია ბაგაჟინებლობის ბაგო

ძრწონიკული გამოუძინებლობა აისახება ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე, დაადგინეს მეცნიერებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან.

„როდესაც ორგანიზმს ძილს ვართმევთ, ტვინი თითქოს უბრუნდება ფუნქციონირების უფრო პრიმიტიულ ფორმებს“, - განმარტავენ გამოკვლევის ავტორები. გამოუძინებლობის დროს ტვინს უბრალოდ არ ჰყოფნის დრო იმისათვის, რომ დაამუშაოს ინფორმაციის მთელი ნაკადი, რის გამოც ადამიანი იწყებს აგრესიულ ქცევას. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დახმარებით ნევ-



როლოვებმა შეისწავლეს იმ მოხალისეთა ტვინის სისხლის მიმოქცევა, ვისაც ბოლო 36 საათის განმავლობაში აწუხებდა უძილობა, და იმ საკონტროლო ჯგუფის ადამიანთა ტვინის მიმოქცევა, ვინც, პირიქით, კარგად გამოიძინა. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფიდან ადამიანების ტვინის იმ მონაკვეთში, რომელიც პასუხისმგებელია ემოციებზე, სისხლი მიდიოდა 60 პროცენტით უფრო ინტენსიურად, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ადამიანების ტვინის მონაკვეთში. „არ გვეგონა, თუ ტვინის ემოციური ცენტრები რეაგირებდნენ მოახდენდნენ გამოუძინებლობაზე ასე ძალიან“, - აღიარეს მეცნიერებმა.

ინფორმაცია

კადავის მომხრეები

ლიბიის ლიდერის მუამარ კადაფის მომხრეები გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს დაესხნენ თავს. თავდასხმა ქაიროში - ტახირის მოედანზე მოხდა. ინციდენტის დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული სააგენტო „რია ნოვოსტი“ ავრცელებს.

„რუსთავი 2-სა“ და „იმედს“

ფინანსურ სანქციებს დაუწესებენ

- ნიშნის მქონე რჩება საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მუშაობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ხელს უშლის მედიაგარემოს ჯანსაღ განვითარებას, - აცხადებს მედიაექსპერტი ნინო დანელია.

მისი თქმით, მარეგულირებელი საკუთარ ვალდებულებებს არ ასრულებს და არ აკონტროლებს, რამდენად სრულდება მუშაობის პირობები ქვეყნის კოდექსი, რაც მისი პირდაპირი მოვალეობაა.

- ორ ძალიან ცნობილ შემთხვევას გაცხადებთ. ერთი იყო მოდელირებული „ქრონიკა“, რომელმაც პირდაპირ დაარღვია მუშაობის პირობები ქვეყნის კოდექსი, რაზეც მარეგულირებელმა არავითარი სანქციები არ დაანერგა. ხოლო მეორე - სარეკლამო ჭრების ხანგრძლივობა. კერძოდ, სარეკლამო ჭრა გადამეტებულია, ვიდრე ეს ოცნიციალურადაა დადგენილი. ამაზეც მარეგულირებელმა არ მისცა რეაქცია, - აღნიშნა მედიაექსპერტმა.

ნინო დანელიას თქმით, სტუდია „მონიტორმა“, უკვე მეორეჯერ შეიტანა სარჩელი, რომელიც ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებს „რუსთავი 2-სა“ და „იმედზე“. ამიტომ მარეგულირებელმა კომისიამ გამოსავალს მიანგო, ცდილობს, შეცვალოს კანონი და გაახანგრძლივოს სარეკლამო ჭრები.


- ვფიქრობ, წლებადედი წელი მნიშვნელოვანი იქნება სწორედ ამ კომისიაზე იერიშის მისატანად და სამოქალაქო საზოგადოების ფოკუსის სწორედ მარეგულირებელი კომისიისკენ იქნება მიმართული, - განაცხადა მედიაექსპერტმა.

XO-308-360

გახსენება

შალვა (ნუკრი) ალექსიძე

ორი წელი შესრულდა, რაც ჩვენთან აღარ არის შალვა (ნუკრი) ალექსიძე, ადამიანი, რომლის ნასვლამ გული დასწყვიტა მისი ოჯახის წევრებს, დედას, მის მეგობრებს.



ჩვენ პირველი კლასიდან ერთად ვიზრდებოდით. შალვა თავიდანვე ბავშვებისათვის არადამახასიათებელი სიღინჯით გამოირჩეოდა. არც თავს დაანაგვირინებდა ვინმეს, მაგრამ არც სხვის საქმეში ჩარევა უყვარდა. განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა ზუსტი მეცნიერებებისადმი. მათემატიკა უყვარდა და კარგადაც სწავლობდა.

დედამისი ქალბატონი თინა ადრე დაქვრივდა და სამ ბიჭს ზრდიდა, შალვა უფროსი იყო. უმამოდ დარჩენილ ოჯახში მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრა. მამის სახელის, შალვას ტარებაც მისგან თავისებურ ხარკს მოითხოვდა. ალბათ, ამ პასუხისმგებლობამ განაპირობა - შალვა ამ ცხოვრებიდან ისე წავიდა, რომ ოჯახს ვერ მოეკიდა.

„კიროვის“ ბაღში გაიზარდა - იქაურობა და იქაურები ძალიან უყვარდა.

მეგობრებთან, უბნელებთან განსაკუთრებული და მოკიდებულია ჰქონდა. თავის თავს არავის ახვევდა, მაგრამ შეხვედრისას თავზე გადაყოლა იცოდა.

დღეს ვიხსენებთ კიდევ ერთ ვერელ ბიჭს - შალვა ალექსიძეს, ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

შენი თანაკლასელები: დ. მაჭავარიანი, მ. არაშიძე, ბ. მებრევილი, მ. მარდალიაშვილი

მეუღლე ლია მელქაძე, შვილები ნანა და მერაბ ვაშაყმაძეები, რძალი მარინა რუხაძე, შვილიშვილები ლევანი, სალომე, ერეკლე, ქეთი, ძმა გივი, და ვენერა ვაშაყმაძეები, რძალი მზია გიორგაძე, ძმისწულეები ზაზა, მეგი, დისწულეები ავთანდილი, გურამი ოჯახებით, მძახალი ნადეჟდა ხუციშვილი იუსუებიან, რომ გარდაიცვალა

დურმიშხან ვაშაყმაძე პანაშვიდი 22, 23 III, 18 სთ. გამოსვენება 24 III, 14 სთ. ლერმონტოვის ქ. №27.

სააქციო საზოგადოება „თბილისის №1“ აგვის სახლის თანამშრომლები თანაურგძნობენ ბატონ აკაკი ბრეგვაძეს დედის სვეტლანა დუშინკოს გარდაცვალების გამო. გამოსვენება 22 III, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

კლავს გამარჯვებით!

ჩვენს ძვირფას თანამოკალმეს რუსლან რუსიას ვულოცავთ დაბადების დღეს



22 მარტი ჩვენი ძველი და კეთილი მეგობრის, ფვალსაჩინო ურნალისტისა და პუბლიცისტის, ვაზეთ „საქართველოს წესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორის, საუკეთესო ადამიანისა და მოქალაქის რუსლან რუსიას დაბადების დღეა.

ჩვენი რედაქცია სულითა და გულით, წრფელი სიყვარულით ულოცავს ძვირფას რუსლანს თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ დღეს, უსურვებს ჭანმთელითა, ხანგრძლივ სიცოცხლეს თავისი ჩინებული ცოლ-შვილის, მთელი დიდი სანათესაოსა და თითოეული კეთილისმსურველი მეგობრის გულის გასახარად...

დაე, ძვირფასო რუსლან, კვლავაც ასე მხნედ და ვაჟკაცურად ემსახუროს მახვილს გატოლებული შენი კალამი ჩვენს საზოგადოებას, შენს საყვარელ სამშობლოს, რომელსაც დღეს აგწენიგად სჭირდება შენი მეგობრობა, შენგვე, გონიერი სიტყვა...

ვაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

დაიჯესტი

რას მოსახდენია, მაინც მოსდგა...

ტოიო კავამორიტა - 40 წლის სტაჟის მქონე „იტაკოა“ - ასე უწოდებენ იაპონიაში ბრმა ჯადოსნებს, რომლებიც მიცვალებულთა სულებთან ურთიერთობენ.



ლეგენდის თანახმად, 862 წელს ბუდისტმა ღვთის მსახურმა ძიკაკუმ მთა ოსორედანის ძირში ტაძარი ააგო და ეს ადგილი სულებთან მედიუმების შეხვედრის ადგილად აქცია. ამჟამად, იტაკოები მთა ოსორედანზე ყოველწლიურად სპირიტულ სეანსებს აწყობენ, რომლებზეც ათასობით ტურისტი იკრიბება.

ერთი კვირის მანძილზე 15 კარავთან უზარმაზარ რიგში დგებიან ისინი, ვისაც გარდაცვლილ ახლობლებთან კონტაქტი სურს. ცერემონია საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს: კარავში ტატამზე შესანიშნავი თასი დგას, ირგვლივ სანთლები ანთია. იტაკო მუხლებზე ზის და ნადირთა კბილების კრიალოსანს

მარცვლავს. მერე იგი სიმღერეს იწყებს, თან ქანაობს, უცბად კი ლაპარაკს იწყებს. ტოიო კავამორიტა ამბობს, რომ ტრანსიდან გამოსვლის შემდეგ თავისი ნალაპარაკები აღარ ასოსვს. „ამას მე არ ვამბობ, ეს სულების ნალაპარაკებია“, - ამბობს ქალი.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარმეტყველებების ნიჭი საკუთარ თავში ძალიან დიდი ხნის წინათ აღმოაჩინა, ათი წლის მანძილზე იგი მასწავლებელთან მეცადინეობდა, მერე კი სამი წელი კონცენტრირების ხელოვნების ათვისებას მოანდომა და სულების გამოძახება მხოლოდ მას შემდეგ შეძლო.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომავლის წინასწარმეტყველება იტაკოს მიზანს სულაც არ წარმოადგენს, თან ყოველთვის არც გამოსდის. როცა მიცვალებულთა სულებს იძახებენ, ამით მათ მიმართ პატივისცემას გამოხატავენ, ისინიც ზოგჯერ მომავლის ამბებს ამცნობენ. „ის, რაც მოსახდენია, აუცილებლად მოხდება, როგორც არ უნდა ეცადოთ იმის თავის არიდება“, - ამბობს ტოიო კავამორიტა.

თუ ჩუქუდუ არა გაქვს, აბა, რა კასი ხარ?!

ყველა ვერს განსხვავებული სამხიარული თუ სამგლოვიარო რიტუალი აქვს, სხვადასხვა მოვლენა განსაკუთრებული წესით აღიწინება და ყველაფერს გარკვეულ მოთხოვნილებას უყენებენ. მაგალითად ეთიოპიაში თუ კაცს ჩუქუდუ არა აქვს, მან ქალის



შერთვაზე ხელი უნდა აიღოს. ჩუქუდუ - ესაა ხის ველოსიპედი და თუკი ეთიოპიელ კაცს იგი არ ჰყავს, ქალს არავინ მიათხოვებს.

ისე კი, ეთიოპია მსოფლიოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და უღარიბესი ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც ერთგვირიანი (!) ქორწილი იცაინ. მიუხედავად იმისა, რომ საქმელ-სასმელი ნაკლებად აქვთ, ხალხი ამ ხნის მანძილზე მაინც უშუაგებლად მხიარულობს. საამისოდ საჭირო ენერჯიას კი ებორას ხის დაფხვნილი ნაყოფი აძლევს, რომელსაც ნარკოტიკული და პალუცინოგენურის ზემოქმედება აქვს. თანაც ებორას ფხვნილს დიდი ოდენობით ლუფსაც აყოლებენ და არის ერთი ამბავი.

„შოუბენი“ რეპოლუციონერი

ბრიტორი კოტოვსკი იყო... თუმცა მის შესახებ ცნობები იმდენად მწირია, რომ დანამდვილებით ბევრის თქმა შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ მის ბიოგრაფიაში ასი პროცენტით სანდო ფურცელი, ფაქტობრივად, არ არის, დაწყებული... დაბადების თარიღიდან.

„გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე“, „მგზნებარე რევოლუციონერი“ გრიგორი კოტოვსკი მოლდავეთში, მართლმადიდებლობა მიღებული პოლონელის ივანე კოტოვსკის ოჯახში დაიბადა. მამამისს ხან გალატაკებულ აზნაურად, ხან ქარხნის მექანიკოსად იხსენიებენ. საერთოდ კი ისტორიკოსებმა კოტოვსკის ორი, ერთმანეთისგან უაღრესად განსხვავებული სახე შექმნეს. „საბჭოურ მითოლოგიაში“ იგი მგზნებარე რევოლუციონერია, რომელიც უსამართლობას პატარობიდანვე ებრძოდა. მეორე ვერსიით იგი თავზე ხელაღებული ბანდიტი იყო, რომელიც გაძვრა-გამოძვრა და რევოლუციის სიმბოლოდ იქცა.

პირველად იგი 1902 წელს დააპატიმრეს, შემდეგ - 1903-ში, ორივეჯერ წერილმან ქურდობაზე (სხვა ვერსიით იმისთვის, რომ დატაკებს ციხედა). 1905 წელს კოტოვსკი ჯარისთვის თავის არიდების გამო დაიჭირეს და ფორმა ძალით ჩააცვეს, თუმცა 1906-ში იგი მაინც გაიპარა და სათავეში ჩაუდგა ბანდას, რომელიც შემამულეებს და მენარმეებს ძარცვავდა. ფულსა და ძვირფასეულობას, „მითის“ თანახმად, იგი ღარიბებს ურიგებდა (თუმცა მისი პირადი მონათხრობების გარდა ამის რაიმე სხვა მოწმობა არ არსებობს). ერთი წლის შემდეგ იგი კიდევ ერთხელ დააპატიმრეს, თუკი ქალაქში წესრიგის მართვის ციხიდან გაიქცა. 1912 წელს 12 წლით კატორღა მიუსაჯეს, თუმცა წერჩინსკში რამდენიმე წლის ყოფნის შემდეგ კვლავ გაიქცა, ხოლო 1913 წელს კიდევ



ერთხელ შექმნა „საბრძოლო“ რაზმი. ამ ჯერზე იგი კერძო პირთა ძარცვას შეეშვა და ბანკების ძარცვა დაიწყო.

1916 წელს კოტოვსკის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა განაჩენი თვით ლეგენდარულმა გენერალმა ბრუსლოვმა გააუქმა მას შემდეგ, რაც მან გულის ამაჩუყებელი წერილი მისწერა გენერლის მუხლს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ კოტოვსკი ფრონტზე გაგზავნეს, 1918 წლიდან იგი წითელ არმიას მსახურობს. ებრძოდა მახინჯეებს, ანტონოველებსა და პეტლიურელებს. კოტოვსკი საბრძოლო წითელი დროშის ორდენის სამგზის კავალერია. იგი 1925 წელს, დასასვენებლად მყოფი მოკლეს.

კოტოვსკი ოდესაში საოკრად პოპულარული იყო. გაზეთები მას ახალ რობინ ჰუდად ნათლავდნენ. თავად გმირს ხალხში თავის გამოჩენა უყვარდა, ძვირიან რესტორნებსა და კაზინოებში დადიოდა, სასტუმროებში კი საუკეთესო ნომრებს ქირაობდა, მდიდრულად იცვადა და, საერთოდ, „ტიკბილი ცხოვრების“ ტრფიალი იყო.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ მან ოდესის ციხეში... თვითმმართველობა დაამყარა (!), რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. დღისით „საქმეებზე“ მიდიოდა, მსურველებს კი ციხეში... ექსკურსიებს, „უნყოფდა“ მეტიც, ორმოც „ავტორიტეტთან“ შეხვედრის შემდეგ კოტოვსკიმ ოდესელ ბანდიტებს ხელისუფლებისადმი წერილი მიანერინა, რომელშიც „შავებმა“ „კარგი ყოფაქცევის“ პირობა დადეს, თუკი ქალაქში წესრიგის მართვა დაამყარებინებდნენ და რომ პ ა ტ ი ო ს ნ ა დ ცხოვრება ყოველგვარი პოლიციის გარეშეცა შესაძლებელი.

კოტოვსკის პოლიციური დოსია სიმაღლე - 174 სანტიმეტრი, მკვრივი აღნაგობის, მხრებში მოხრილი, სიარულის დროს ქანაობს. თავი მრგვალი აქვს, თვალები - ნაბლისფერი, ატარებს პატარა ულვაშს, ცაციაა, ორ პისტოლეტს ხმარობს, ფლობს მოლდავეურ, ებრაულ და გერმანულ ენებს. ძალიან ღონიერია.

კადრი

ორგანიზაცია ბექდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858



ანეკდოტები

მდივანი უფროსს ეკითხება: - მე განთავისუფლებული ვარ? - არა, საიდან მოიტანეთ? - აბა, მაშ დივანი რატომ წაიდეს ჩემი თახხიდან?

მამა ეკითხება შვილს: - შვილო, რას ეძებ ქალში? - დიდ მკერდს, მამა; - შენ ვერ გამოიგე... მე გეკითხები, ქალში, ვისთანაც მთელი ცხოვრება უნდა გაატარო.



- მამი, ასეთი დიდი მკერდი არ არსებობს. - ბავშვი, სიდედრთან გიჩხუბია. - კი, აგარულ საკითხში ვერ შევთანხმდით! - ვა, ეს როგორ გავიგო? - მას უნდა, რომ ჩამდოს მინაში, მე - პირიქით. - ართი დაქალი ეკითხება მეორეს: - რატომ გიკეთია საქორწინო ბეჭედი არათითზე? - არაკაცზე ვარ გათხოვილი და იმიტომ.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. ახვლედიანის (ყოფილი პაროვსკაიას) ძ. 19. ინფორმაცია: შპს „თანადგობა“-1 ვაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 99-62-77; 899 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიზაშვილი 899 53-76-16; რუსლან რუსია 899 17-21-21; სპარტაკ მოპულია 899 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაზაიძე 814 33-33-24 ავტორთა საზოგადოება რედაქციის მიერ შეუქმვთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მონაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.